რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 9 ივლისი 1917 წ.

ერთობა

ფასი 10 კაპ.

„ტიპოგრაფიული ამხ.“ [illegible]

გაზეთის ფასი: მთელი წლით—20 მ., ნახევარი წლით—11 მან., 3 თვით 6 მან. ერთი თვით—2 მან. ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ. და სადგურებზე [illegible] მეტი, განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება [illegible] 5 მანეთი [illegible] შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერთა [illegible] რედაქცია არ იბარებს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და არც მათ შესახებ არავ მიწერ-მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 92 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 92

ამხანაგებო, შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

ხუთშაბათს, მკათათვის 13 ს, შუადღის 12 საათზე, ქუქიის წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვლილ [illegible]-ლის სტუდენტის

გრიგოლ ზურაბის ძის ზერაზეულიძის

მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს გარდაცვლილის მშობლები: ოლღა და ზურაბი, და-ძმანი: სიმონ და მიხეილი, რძალი ლარიკო, დეიდა მარიამი და დეიდა ანნა ელიოზიშვილისა.

ამავე დღეს პანაშვიდი გადახდილი იქნება ს. [illegible]. 3—2

ღრმათ დამწუხრებული თავადი ივანე სიკოს ძე ერისთავი, აუწყებს ნათესავთ და მეგობართ, რომ სამშაბათს, 11 ივლისს, დღის 12 საათზე დ. ჩოხატაურში წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასის მეუღლის

დესპინე წულუკიძის ასულის კნეინა ერისთავის

სულის მოსახსენებლათ.

ლექცია ჰაიკ აზატიანისა

ომი და ზავი

რომელიც უნდა წაკითხულიყო სახალხო სახლში წარსულ თიბათვის 25-ში და არ შესდგა გლეხთა ყრილობის გამო, დანიშნულია კვირას, 9 ივლისს, საღამოს 8 საათისათვის. ბილეთები იგივე გამოდგებიან.

დარჩენილი ბილეთები გაიყიდება სახალხო სახლში კვირას დილ. 9—12 ს. და სად. 6—8 ს.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს.

მუშათა სექციის კრება

დანიშნულია დღეს, 9 ივლისს, დილის 10 საათზე, სახალხო სახლში.

დღის წესრიგი: 1) ამხ. ალ. ლომთათიძის მოხსენება სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭ. დელეგატების ყრილობის შესახებ, 2) სამანდატო კომისიის მოხსენება, 3) აღმასრულებელ კომიტეტში დამატებითი წევრთა არჩევა. 4) მე-10 და მე-8 უბნის სასურსათო კომიტეტის წევრთა არჩევა, 5) სხვა და სხვა საქმე.

პრეზიდიუმი.

ორშაბათს, 10 ივლისს, საღამოს 8 საათზე,

მეოთხე რაიონულ კლუბის დარბაზში რ. ს.-დ. მ. პ.

(ლორის-მელიქოვის ქ., ქალების I-ლი გიმნაზია) შესდგება ამ რაიონის ყველა პარტიულ წევრთა

საერთო რაიონული კრება

დღის წესრიგი: 1) არჩევნები წარმომადგ. თფილ. კომიტ. 2) არჩევნები რევიზიონულ კომისიისა და 3) მიმდინარე კითხვები. ამხანაგებს უმორჩილესად სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

2—2

მეოთხე რაიონის კოლექტივი.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს

აღმასრულებელი კომიტეტის

მუშათ სექციის კრება

დანიშნულია სამშაბათს, 11 ივლისს, საღამოს 7 საათზე, სასახლეში.

დღის წესრიგში მეტად საყურადღებო და გადაუდებელი საკითხებია გასარჩევი.

ვსთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

პრეზიდიუმი.

ახალი საკრებულოს

მამასახლისთა საბჭო აუწყებს თავის წევრთ, რომ დღეს დილ 10 ს. დანიშნულია

წევრთა საგანგებო კრება

სასახლეო ბინაზე, მიხეილის პროსპექტი № 120.

განსახილველი საგნები: 1) წევრთა და კანდიდატთა არჩევნები, 2) მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ. 3) მიმდინარე საკითხები.

---

8 კლასიანი გიმნაზია ე. ს. გილანიშვილისა

სრული უფლებიანი მოსწავლეთათვის ორთავ სქესისა.

თხოვნების მიღება: პირველ სამ დაწყებითი განყოფილებებში, და 1, 2, 3 კლასში გიმნაზიისა, ყოველ-დღე დილის 9—12 საათამდე, ნაძალადევში ლოტკინის ქუჩა № 36, ბაბაყევაზის სახლი.

2—1

აუქციონი.

თფილისის ქალაქის ლომბარდი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 9 ივლისს, დილის 10 საათზე, ლომბარდის შენობაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ვადა გასული დაგირავებული საგნები, რომლებიც შესდგება ძვირფასი ლითონეულისა და ქვებისაგან, ლითონის საგნებისა, საკერავი მანქანებისა, ნოხებისა, ტყავეულისა, ტანსაცმელისა და საერთოთ ყოველგვარი მოძრავი საქონლისა.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. პუშკინის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტერსონის გვერდით. ტელეფ. 15—00.

თფ. საქონლის სადგურში

იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები

გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

მსურველს შეუძლია მიმართოს

საშა ჩიგოგიძეს.

დაიკარგა საფულე

რომელშიაც არის ჩემთვის საჭირო სხვა და სხვა ქაღალდები. მპოვნელს ვთხოვ მოიტანოს გოლოვინის პროსპ. ნომერი „ელბრუსში“ რისთვისაც გასამრჯელოთ მიიღებს 15 მანეთს. ბესარიონ ზვიადაძე.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 საათ. და სად. 6—8 ს. საათამდე

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს საღოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] საზ. შენობის პირდაპირ, სახ. [illegible]. ტელეფონი № 5—77.

ქუთაისში

ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

იღებს შინაგან, [illegible] ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდე პუშკინის ქუჩა, ვერცხლიშვილის სახლში.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულათ	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულათ	10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურათ	10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულათ	10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7. ძირს სოც. დემ. ბრალეხი რუს.	20 „
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულათ	20 „
9. [illegible] წიგნაკი ქართულათ	20 „
10. თოხი ძმა ქართულათ	35 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
18 დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუსულათ.
2. დამფუძნებელი კრება თათრულათ.
3. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

იმპერიალისტები მარცხდებიან.

რუსეთის რევოლუციამ მეომარ სახელმწიფოების მუშათა კლასი და საზოგადოთ ყველა ნეიტრალურ ქვეყნების დემოკრატია გამოაფხიზლა და იმპერიალისტების წინააღმდეგ მედგრათ აღმართა.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მიერ წამოყენებულმა [illegible] ერთი თვითგამორკვევის პრინციპზე [illegible] ზავის მოთხოვნამ ყველა მეომარ სახელმწიფოების მუშათა მასის შეგნებაში გამოხმაურება ჰპოვა და ზავის [illegible] წინ მიდის.

საერთაშორისო დემოკრატია და მისი ავანგარდი პროლეტარიატი მედგრათ ირაზმება, [illegible] საერთაშორისო [illegible] იმპერიალისტების [illegible].

სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დელეგაციამ და ჰოლანდია—სკანდინავიის სოციალისტურმა კომიტეტმა საერთაშორისო სოციალისტურ სამშვიდობო კონფერენციაზე მოწვევის [illegible] და მთელი სახელმწიფოების სოციალისტების [illegible] ყრილობა [illegible].

[illegible]

საერთაშორისო დემოკრატია [illegible] იმპერიალისტების [illegible] გამოიწვია.

[illegible]

იქ ვილჰელმისა და იუნკრების ბატონობა შეირყა, იმპერიალისტები დათმობის გზას დაადგა და თავის და უნებურათ [illegible] იმ პოლიტიკას, რომელსაც ისინი თითქმის ერთი საუკუნე [illegible].

დიდ ზავის ნიადაგი მომზადებულია, საერთაშორისო დემოკრატიამ [illegible] გამოაცალა და მთელი ქვეყნის იმპერიალისტებს [illegible].

საერთაშორისო ობიექტურმა პირობებმა და რუსეთის დიდმა რევოლუციამ [illegible] გერმანიის იმპერიალისტების [illegible] ერთად [illegible] საერთაშორისო [illegible] რუსეთის სოციალ დემოკრატია და რომელიც [illegible] ერთად-ერთი [illegible] გზა და ამ გზით მიდის რუსეთის რევოლუციური ორგანიზაცია.

კრება.

[illegible] „ერთობის“ [illegible]

[illegible]

„Воля Народа“-ში [illegible]

[illegible]

საერთაშორისო ომი

დასავლეთის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

რუმინია-კავკასიის ფრონტზე ჩვეულებრივი დრო-გამოშვებითი სროლაა.

საფრანგეთის მთელ ფრონტზე სასტიკი საარტილერიო სროლა სწარმოებს. ბრძოლამ გაფთრებული ხასიათი მიიღო მდ. მაასის, ენისა და სომას რაიონში. აქ პოზიციები ხელიდან-ხელში გადადის და მოწინააღმდეგენი ერთმანეთს არა ჩვეულებრივ წინააღმდეგობას უწევენ. გერმანელები რეიმსს კვლავ დაჟინებით ყუმბარებს ესვრიან. 5—6 ივლისის განმავლობაში ქალაქს ათასზე მეტი ყუმბარა ესროლეს.

იტალია-ავსტრიის ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

სომეხთა საკითხის სომხის ერის განადგურებით გადაჭრა. რუსეთში, სადაც 2 მილ. სომხობა ცხოვრობს, მართალია, ასეთ დევნას განიცდიდენ სომხები ფიზიკურათ, მაგრამ მთელი რიგი მეფის ლაქიებისა სომხებისადმი ზნეობრივი შეურაცხყოფა დიადი იყო“.

რა უნდა ეკეთებინა დაშნაკელების პარტიას ასეთ პირობებში? ამაზე წერილი შემდეგ პასუხს იძლევა:

„სომხის ს. რ. პარტია დაშნაკცუტიუნმა, როგორც სოციალისტურმა პარტიამ სრულიად სისწორით გაიგო, რომ როგორც ოსმალეთში, ისე რუსეთში სომხების უბედურების მიზეზია ამ ქვეყნებში არსებული აბსოლიუტიზმი (თვითმპყრობლობა), ამიტომ თავიდანვე დაშნაკცუტიუნმა თვის დროშაზე წააწერა ამ თვითმპყრობლობის დამხობა, როგორც რუსეთში, ისე ოსმალეთში და ისეთი სრული კონსტიტუციის დაწესება ამ ქვეყნებში, რომელიც უზრუნველყოფდა ამ ქვეყნების დაჩაგრულ ერთა მდგომარეობას. რამდენადაც დაშნაკცუტიუნის პარტიის მუშაობა შედარებით ადვილი იყო რუსეთში, იმდენათ ის ძნელი იყო ოსმალეთში, ვინაიდან რუსეთში მუშაობა გვიხდებოდა რუსეთის სოციალისტურ პარტიებთან ერთად, ოსმალეთში კი, მარტოთ-მარტო, ვინაიდან იქ სოციალისტური მოძრაობა არ იყო“.

სწორედ დაშნაკელის ინტიმარი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ასე თავხედათ სწეროს! ვნახოთ, რამდენათ წასწიეს მათ სოციალიზმის საქმე წინ ოსმალეთში. როცა სომეხ თათართა ჟლეტა იყო ოსმალეთში, აბა, დაგვისახელონ ამ ცრუ სოციალისტებმა თუ ერთხელ მაინც დაულაპარაკიათ, დაუწერიათ ან რაიმე პრაქტიკული ნაბიჯი გადაუდგამთ მათ სოციალისტური. იმის მაგივრათ, რომ მათ სომხისა და თათრების ღარიბ კლასებში (გლეხობაში) სოლიდარობა, მეგობრობანი ცხოვრება ექადაგნათ, ეროვნულ შუღლს სთესდენ: ზინვორების შეიარაღებული რაზმებით ხოცვა-ჟლეტას აწყობდენ და ამ გზით ემსახურობოდენ სოციალიზმს. აბა, დაგვისახელეთ ერთი, ქვეყნაზე თუ მოიპოვება სადმე თქვენ გვარი სოციალისტები? სწორედ თქვენ მიერ შოვინისტური პოლიტიკის წარმოებამ, თქვენმა პოლიტიკურმა თავხედობამ მიიყვანა სომხის დემოკრატია ოსმალეთში დაღუპვის კარებამდე. რა შუბლით ლაპარაკობთ, სოციალიზმს ვემსახურებითო! თქვენი, ბ. ბ. დაშნაკელებო, სოციალიზმის დარგში მუშაობა იგივეა, რაც ხარის „მუშაობა“ შუშის ჭურჭლეულობის მაღაზიაში! მერმე რატომ არ გრცხვენიათ, რომ სწყუით—მარტო ჩვენ ვიყავით სოციალისტები ოსმალეთშიო. სომხის სოციალ-დემოკრატებმა, ჰნჩაკისტებმა, თქვენზე ბევრით გვიან დაიწყეს ოსმალეთში მუშაობა? რა ნაირ დამოკიდებულებაში იყავით თქვენ ამ მართლა გულწრფელ სოციალისტებთან? რამდენი მათგანი დაარბიეს, თქვენმა ზნეობრივმა? აქაც, კავკასიაში ის არ გვიყურება თქვენ აკეთოთ, „რასაც ოსმალეთში აკეთებდით? ეს ვინმეტონები ჩვენ გვადვებით—გლახა სოციალისტები ხართო, თავად-აზნაურობასთან, თათრის ბეგებთან გაქვთ კავშირი შეკრულიო და სხ. რა საქმეს აკეთებენ ამით დაშნაკელები? სომხის გლეხობაში და საზოგადოთ სომხის ხალხში პროვოკაციას ეწევიან იმ სომეხ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენთან ერთად მუშაობენ („ფაიქარი“), პროვოკაციას ეწევიან სოც.-დემოკრ. „ჰნჩაკის“ წინააღმდეგ, რომელიც ჩვენთან ბევრი საერთო აქვს და რომელიც, მოსალოდნელია, ახლო მომავალში სრულიად შემოგვიერთდეს. აი ამათ წინააღმდეგ სომხის ხალხს ჩასჩიჩინებენ—შეხედეთ, ქართველ სოციალ-დემოკრატებთან არიანო! სოციალიზმი აქ საპროვოკაციო იარაღათ გაიხადეს! რაში გამოიხატა დაშნაკელების მუშაობა რუსეთში სოციალიზმის სფეროში? ნუ თუ ვორონცოვ-დაშკოვის ლაქიობა სოციალიზმის სამსახური იყო? როდის მოქმედობდით შეთანხმებულათ რევოლიუციონურ პარტიებთან? რატომ გაიქეცით თფილისში, 1905 წელს, შავ ბნელი რეაქციის დროს, რევოლიუციონური პარტიების „შეთანხმების ბიუროდან“, თქვენ, უებრო მებრძოლნო, რუსეთის თვითმპყრობელობის წინაღმდეგ? თქვენ არ ამბობდით 1905 წელს: სომხის ხალხმა (თუ ეკლესიებმა?) ჩამორთმეული ქონება დაიბრუნა, ამის შემდეგ საბრძოლველი არაფერი არ გვაქვსო? გაიხსოვილდა ამით თქვენი სოციალიზმი, არა?! თქვენი მუშაობა აშკარაა ყველასათვის როგორც ოსმალეთში, ისე რუსეთში: პროვოკაცია ასულდგმულებდა მას წარსულში, პროვოკაციითვე ფიქრობთ მომავალში ფონს გასვლა!

დაბოლოს ეს მაკიაველურ-დიპლომატიური წერილი ასე თავდება:

„და ყველა ამ აუწერელი ტანჯვის, როგორც ფიზიკურის, აგრეთვე ზნეობრივის, ყველა იმ დიდი მსხვერპლისა და დაღვრილი სისხლის შემდეგ თავისუფლებისათვის, ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ სომხობამ რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიას უნდა მოთხოვნანი წარუდგინოს ისე, როგორც ეს ქნეს უკრაინელებმა, ლიტველებმა, ფინებმა და სხვა, მაგრამ სომხები ჯერ-ჯერობით აფასებენ მოპოვებულ თავისუფლებას, ამაგრებენ რუსეთის რევოლიუციონურ მთავრობას და ცდილობენ, რაც შეიძლება დაჩქარებით, მაგრამ ღირსეულათ, დაამთავრონ საქვეყნო ომი“.

კითხვა იბადება: როდის მოსთხოვს პასუხს სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიას სოციალისტური სამსჯავრო, რომ მათი ნებართვით დაშნაკელების შოვინისტური პარტია ასე თავხედობს და სოციალისტობს?!

⁂

„სარევოლიუციო“ პარტიის ორგანოს—„სახალხო ფურცელს“ სურს დაამტკიცოს, რომ იქ ჩვენზე უკეთესი რევოლიუციონერები სხედან, ისე, როგორც დაშნაკელთა „ორიზონი“ „ამტკიცებს“, რომ მის რედაქციაში ჩვენზე უკეთესი სოციალისტები სხედან. ჩვენ მიერ მოყვანილი დებულება, რომ „სრულებით არ შეადგენს რევოლიუციის აუცილებელ თვისებას შეიარაღებული ბრძოლა, არამედ—რევოლიუცია არის უფლებათა მოკლებული ხალხის მიერ უფლების მოპოვება-განმტკიცება“,—გაზეთს არ მოსწონს და გვეუბნება:

„საერთოდ სად ყოფილა დიდი რევოლიუცია უბრძოლველათ და უსისხლოთ? ვის დაუთმია უფლება და ძალა ნებით, სურვილით? პირიქით, ისტორიაში მუდამ იმას ვხედავთ, რომ მთავარი დიდი რევოლიუციონური აქტი ძალით, ბრძოლით კეთდებოდა, და ამ ბრძოლას ძალა უნებურათ თან სდევს სისხლის ღვრაც“.

რატომ ასტეხა ასეთი ალიაქოთი „სახალხომ“? განა ეს საჭირო იყო, რომ წაეკითხა ის ადგილი ჩვენი წერილის, სადაც ვსწერდით:

„პოლიტიკური და იურიდიული ზომები, რომელიც ფართო მასის სასარგებლოთ ცხოვრებაში ტარდება და რომლის გამტარებელიც თვით უფლება მოკლებული ხალხია—რევოლიუციათ იწოდება. 1789 წ. 17 ივნისს საფრანგეთში მესამე წოდების ნაციონალური კრება მოხდა, მაშინ თითქმის არავითარი სისხლი არ დაღვრილა, მაგრამ მას კაუცკი უდიდეს რევოლიუციონურ აქტათ სთვლის სამაგიეროთ, 1774 და 1775 წლებში იმავე საფრანგეთში ქუჩებში ბევრი სისხლი დაინთხა, მაგრამ ამ სისხლის დანთხევას არავითარი რევოლიუციონური მიზანი არ ჰქონია და ხალხს თავისუფლება არ მოუპოვებია“.

თუ ეს წაიკითხა „სახალხომ“, რატომ ატანს ძალას თავს? ჩვენ ხომ ერთი სიტყვაც არ გვაქვს ნათქვამი იმის შესახებ, თითქოს „საერთოთ დიდი რევოლიუცია უბრძოლველათ მომხდარიყოს და ყველგან „დაეთმოთ ძალაუფლება ნებით, სურვილით“. რატომ ებრძვის ასე გულმოდგინეთ „სახალხო“ ქარის წისქვილებს? აი რატომ: მას სურს დაამტკიცოს, რომ ჩვენზე უკეთესი რევოლიუციონერია. ჭეშმარიტი სოციალისტი კაუცკი მას არ მიაჩნია ავტორიტეტათ, წმინდა წყლის სოციალისტათ, სამაგიეროთ, ის „ბალშევიკებს“ ეარშიყება, როცა სწერს:

„პეტროგრადის ამბების ნიადაგი შექმნა დღევანდელი მთავრობის მეტათ მოდუნებული მოქმედების უკმაყოფილებამ. კოალიციური მთავრობა უძლურია, დავალებულია კადეტების წყალობით და მის განწმენდას მოითხოვენ არა მარტო ბალშევიკები“.

არამედ—„სოციალისტ“-ფედერალისტებიც, დავუმატებთ ჩვენ. თქვენ ძალიან მოგწონთ „დაავადებულის“ ისე განკურნება, როგორც ეს პეტროგრადში მოინდომეს—„დაავადებულის“ განკურნების ნაცვლათ კინაღამ განთავისუფლებულ იქნენ პეტრე-პავლეს ციხიდან ძველი რეჟიმის მინისტრები, ჯაშუშ პროვოკატორები და სხ. თქვენთვის დაგვილოცნია, „ბალშევიკებთან“ ერთათ, ასეთი რევოლიუციონერობა!

რა ხდება გერმანიაში?

გერმანიაში პოლიტიკური კრიზისი დღითიდღე მწვავე ხასიათს ღებულობს. თავისუფალ მოაზრეებს, ცენტრს, სოციალდემოკრატებს და ნაციონალ-ლიბერალების უმრავლესობას შორის მოლაპარაკებაა გამართული. მათ სურთ შექმნან ბლოკი (კავშირი), რომ რეიხსტაგში შეთანხმებულათ იმოქმედონ. უმთავრესი მოთხოვნა, რომელსაც ბლოკი წამოაყენებს რეიხსტაგში ეს იქნება: აღძრულონ მთავრობა, რომ მან მიიღოს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის პრინციპი. ნაციონალ დემოკრატები ფეხს ითრევენ, მათ არ სურთ ასე ადვილათ დაპყრობითი ოცნებას გამოემშვიდობონ. საშინაო პოლიტიკის საკითხშიაც არ გამოუმუშავებიათ ჯერ ერთნაირი სამოქმედო გეგმა. სოციალ-დემოკრატები, თავისუფალი მოაზრენი და ცენტრი მოითხოვენ საპარლამენტო წყობილების დაუყოვნებლივ შემოღებას, პასუხისმგებელ სამინისტროს დაწესებას და სხ. სარწმუნოთ მიაჩნიათ ბეტმან ჰოლვეგის და ჰელფერიხის სამსახურიდან გადადგომა. გაზეთების თქმით, ჰინდენბურგთან ვილჰელმის მოლაპარაკებას საბაბათ მხოლოდ სამხედრო საკითხები ჰქონდათ. პოლიტიკური საკითხები თითქოს არ აღუძრავთ. ვილჰელმის მოლაპარაკება კანცლერთან გრძელდება *). საპარლამენტო წრეებში არა ჩვეულებრივი აღელვებაა. ბლოკს აზრათ აქვს საკითხი ასე წამოაყენოს: გერმანია აწარმოებს თავდაცვითი ომს, უარს ამბობს ყოველგვარ ტერიტორიალურ შემოერთებაზე და ფულით ზარალის ანაზღაურებაზე. კონსერვატორები ყოველი ძალღონით ცდილობენ ბლოკის გეგმათა ჩაფუშვას. ისინი ცდილობენ ნაცნობათა თუ სხვათა გავლენით ვილჰელმზე გავლენის მოხდენას, რომ მან არაფერი არ დასთმოს არც საშინაო, არც საგარეო პოლიტიკის საკითხში. გერმანელი გაზეთები სულ ერთიანად ამ ამბების შესახებ სწერენ. მათი აზრით, ომის გამოცხადების შემდეგ გერმანიას ასეთი გასაჭირი არც საშინაო, არც საგარეო საქმეთა მოგვარებაში არ დასდგომია. ლიბერალური გაზეთები დაჟინებით მოითხოვენ სახელმწიფო წყობილების ძირითად რეფორმებს და ომის საკითხის პირდაპირ წამოყენებას; „ფორვერტსის“ აზრით თანდათან ბოლო ეღება ომის საკითხში სოციალდემოკრატიის განცალკევებას. გაზეთის აზრით ერთადერთი გამოსავალია: უკეთუ სავსებით სამხედრო ძლიერებაზე არ დაეყრდნობით ომის საკითხში და მხარს დაუჭერს ზავს. კონსერვატიული გაზეთები ბუკსა და ნაღარას სცემენ. მათი აზრით გერმანიის იმპერიის დაქუცმაცება მოხდება, უკეთუ მთავრობა უარს იტყვის ანექსიასა და კონტრიბუციაზე და დაემყარება დემოკრატიულ ელემენტებზე. კანცლერის წინააღმდეგ აღშფოთება თანდათან მატულობს. ვილჰელმთან საუბრის დროს ბეტმანი არწმუნებდა თურმე მას, რომ ოპოზიციის მიერ წამოყენებული მოთხოვნანი არც ერთი დასაკმაყოფილებელი არ არისო. ცენტრის პარტიას გადაუწყვეტია: თუ კანცლერი ჩვენს მოთხოვნილებებს სავსებით არ დააკმაყოფილებს, მას რეიხსტაგში ლაპარაკის ნებას არ მივცემთ და წინადადებას შევიტანთ რეიხსტაგის სხდომების გადადების შესახებო.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ფორვერტსი“ ასე ახასიათებს გერმანიის ახლანდელ მდგომარეობას. ის სწერს: „რეიხსტაგის უმრავლესობა, როგორც სჩანს, თანახმაა იმის, რომ ომის საკითხის სამართლის საფუძველზე გადაჭრა უფრო კარგს შედეგს მოიტანს. სრული ჭეშმარიტებაა, რომ მოწინააღმდეგებს არ შეუძლიათ ჩვენი დამარცხება, მაგრამ არც ჩვენ შეგვწევს ძალა მათ დასამარცხებლათ. ერთნაირათ გვეჭირვება საქმე ომში როგორც ჩვენ, ისე ჩვენს მოწინააღმდეგესაც. ჭეშმარიტებაა, რომ გერმანიის ხალხს ისე ეჯავრება ეს ბოროტი სისხლის ღვრა, როგორც სხვა ერებს, ისევე სურს გერმანიის ხალხს ზავი, როგორც ეს სხვა ქვეყნების კულტურულ ერებს. რეალური პოლიტიკური ფაქტორები რეიხსტაგს იმ საფუძველზე აყენებენ, რომ ყველანი მომხრენი არიან უანექსიო ზავის ჩამოგდებაზე. გულწრფელობის პოლიტიკას რუსეთში უკვე ცხოვრებაში ატარებენ. უკეთუ რუსეთის ახალგაზრდა რესპუბლიკა ამ ჟამათ სამხედრო გამარჯვებით ამპარტავნობს, რის მიღწევა არსებულ პირობებში ძნელი საქმე იყო, ჩვენ შეგვეძლოა ვსთქვათ: რუსეთს მშვენივრათ ჰქონდა შეგნებული, რომ ეს ომი ანექსიის გულისათვის არ შეიძლება დამთავრდეს კაცობრიობის ყოველი ცივილიზაციის ნანგრევებზე.“

პეტროგრადის ამბების გამო.

7 ივლისს შესდგა შეერთებული სხდომა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ცენტრების აღმასრულებელ კომიტეტებისა. სხდომამ იქონია მსჯელობა პეტროგრადში მოხდარ ამბებზე და შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

„კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტებმა 7 ივლისის კრებაზე განიხილა რა პეტროგრადში მომხდარი ამბავი და კონსტიტუციონალდემოკრატიულ პარტიის წევრ მინისტრების მთავრობიდან გასვლის საკითხი შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: 1) კონსტიტუციონალ-დემოკრატიის პარტიის წევრთა დროებით მთავრობიდან გასვლა რევოლიუციის საქმის ჭეშმარიტი ღალატია. ამ პარტიამ თავის მოქცევით ცხადჰყო, რომ ის მსხვილ იმპერიალისტური ბურჟუაზიის ინტერესებს იგინი ქვეყნისა და რევოლიუციის ინტერესებზე მაღლა აყენებენ.

2) პეტროგრადის გარნიზონის და მუშათა უმცირესობის გამოსვლა, რომ რევოლიუციონურ დემოკრატიისთვის ძალით მოეხვია თავისი ნება სურვილი, პირდაპირ რუსეთის რევოლიუციონურ ძალთა დეზორგანიზაციაა. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გაბედული ნაბიჯი გადასდგა და ენერგიული ზომები მიიღო ამ ელემენტების წინააღმდეგ, რითაც მან დაამტკიცა, რომ ის ღირსია იმ დიდი როლის, რომელიც მას დააკისრა რევოლიუციონურმა დემოკრატიამ, რომ გმირულად დაიცვას მან რუსეთის რევოლიუცია.

კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სალამს უძღვნის ცენტრალურ კომიტეტს, რომ მან გმირულათ დაიცვა რევოლიუცია და იმედს აძლევს, რომ ყოველივე თავის მოქმედებაში რევოლიუციის გასამაგრებლათ მას მუდამ შეუძლია დაეყრდნოს კავკასიის რევოლიუციონურ დემოკრატიის დიდ უმრავლესობას და მთელ რევოლიუციონურ ჯარს, რადგან რევოლიუციის გამაგრება და რევოლიუციონურ წესების დამყარება რევოლიუციონურ მომენტის უპირველესი მოთხოვნილებაა.“

(ამ რეზოლიუციას წინააღმდეგ მხოლოდ ორმა მეუმრავლესემ მისცა ხმა).

დასასრულ მოხდა არჩევნები კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა გაერთიანებულ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმისა. ერთხმათ აირჩიეს: თავმჯდომარეთ ამხ. ევგენი გეგეჭკორი, თავმჯდომარის ამხანაგებათ: ამხ. ნოე რამიშვილი და დონსკოი; მდივნებათ: ილოშკინი, ბეკზადიანი, ზეინალოვი, თარხნოვი, ნ. ზურიოზოვი და გახაზიანი.

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 7—8 ივლისი).

პეტროგრადის ამბები.

პეტროგრადი. 5 ივლისს დილის 7 საათზე შტაბის განკარგულებით გაჩხრიკეს გაზეთ „პრავდას“ რედაქცია. ჩხრეკის დროს იქ მივიდნენ ინვალიდები და გაზეთის დაბეჭდილი ნომრები ზოგი დაწვეს და ზოგი მდინარეში ჩაყარეს.

მოწოდება.

პეტროგრადი. ყველა მოქალაქეთ! პეტროგრადის ამბების გამო საზოგადოებაში სხვადასხვა ხმები გავრცელდა. რევოლიუციონურ მთავრობას უნდა ეკისრა ფრიად ძნელი საქმე, ჩაექრო ის მოძრაობა, რომელმაც რევოლიუცია უფსკრულის პირამდე მიიყვანა და [illegible] საზოგადოებაში ღრმა [illegible] გულის წყრომა გამოიწვია. რევოლიუციონური მთავრობა ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები რეპრესიები იხმაროს და არ შეავიწროვოს მოქალაქენი, მაგრამ ზოგიერთი პირები, რომლებზედაც ძალა იხმარეს 3 და 4 ივლისს გაბოროტებულნი ისეთ ექსცესებს ახდენენ, რომლებიც სრულად შეუწყნარებელია, ძალას ხმარობენ მოქალაქეებზე და ატუსაღებენ მათ. ეს ექსცესებიც საფრთხეს უქმნიან რევოლიუციას. არეულობით სარგებლობენ კონტრ-რევოლიუციონერები თავიანთი ბინძური საქმეების მოსაწყობად. ხალხში ჭორებს გასავალი აქვს. კონტრ-რევოლიუციონური ორგანოები [illegible] ჰფენენ ჭორებს და ნამდვილ ამბებს ამახინჯებენ. მაგალითად ავრცელებენ ხმებს, თითქოს ბალშევიკებს გერმანიის მთავრობასთან დამოკიდებულება ჰქონდეს, ან-და თითქოს ეს და ის პირი დაიჭირეს, დაწესებულებები დაანგრიეს, მუშები გაჩხრიკეს და სხვა. მოქალაქენო! ყურს ნუ უგდებთ ასეთ ჭორებს. აშკარაა თუ რათ ავრცელებენ ასეთ ხმებს. თუ ვინმეს გინდათ რამე დაწვრილებით მოსთხოვეთ დამამტკიცებელი საბუთები. შეეკითხეთ მუშათა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურ კომიტეტს ყველა საქმეთა გამოსაკვლევათ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა შეადგინა კომისია. იგინი სასწრაფოთ იმუშავებენ. რასაც კი გაიგებს კომისია ყოველ დღე გამოაცხადებენ ორჯელ ბიულეტენის სახით. ერწმუნეთ ამ ბიულეტენებს. ნუ აჰყვებით პროვოკატორებს. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და გლეხთა სრულიად რუსეთის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ბალშევიკის დატუსაღება.

პეტროგრადი. 6 ივლისს საღამოს 9 საათზე თავის ბინაზე დაატუსაღეს ნაფიცი ვექილი ბალშევიკი კოზლოვსკი, დატუსაღების დროს იქ რაღაც კრება ჰქონდათ. ყველა იქ მყოფნი დაატუსაღეს, და საქონლის ავტომობილით შტაბში წაიყვანეს.

ჯარების დაშლა.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ განკარგულება მოახდინა, დაშალოს ის ჯარები, რომლებმაც 3, 4 და 5 ივლისს პეტროგრადის აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს.

დროებით მთავრობის დადგენილება.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 1) ის პირნი, ვინც საჯაროთ მოუწოდებს მკვლელობისა, თავდასხმისა და ძალადობისათვის, დაისჯებიან 3 წლით გამასწორებელ სახლში დატუსაღებით ან და სამი წლის ციხეში დატუსაღებით, 2) ვინც საჯაროთ მოუწოდებს არ შეასრულონ მთავრობის კანონიერი განკარგულება 3 წლით ციხეში ან სატუსაღოში დაამწყვდევენ, 3) ვინც ომიანობის დროს მოუწოდებს ოფიცრებს, ჯარისკაცებს და სხვა სამხედრო პირთ არ დაემორჩილონ სამხედრო კანონებს, ჩაითვლებიან როგორც სამშობლოს მოღალატენი, 4) ეს დადგენილება დეპეშით ძალაში შედის.

არეულობა მოისპო.

პეტროგრადი. საოლქო შტაბის ცნობით არეულობა საბოლოოთ მოისპო. ჯარის ყველა ნაწილებიდან განცხადებები შემოაქვთ, რომ იგინი მზათ არიან [illegible] მთავრობის წესიერების [illegible].

საგანგებო კომისია.

დროებითმა მთავრობამ დაადგინა გამოჰყოს საგანგებო კომისია, რომელიც ჯართა მთავარსარდალთან სრულ შეთანხმებით იმოქმედებს. კომისიაში შედიან: დროებითი მთავრობიდან შრომის მინისტრი სკობელევი, საზღვაო მინისტრი ლებედევი და დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტიდან გოცი.

პერევერზევის გადადგომა.

პეტროგრადი. იუსტიციის მინისტრმა პერევერზევმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე განთავისუფლების თანამდებობიდან. შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. 5 ივლისს პერევერზევმა თანამდებობა თავის ამხანაგს სკარიატინს გადასცა.

ფრონტის ჯარი რევოლიუციონურ მთავრობის დასაცავათ მოდის.

პეტროგრადი. „დეპუტატთა საბჭოს უწყებებში“ შემდეგი მოწინავე წერილია მოთავსებული: დღეს პეტროგრადში მოვა ფრონტიდან რევოლიუციონურ ჯარის ნაწილი. გაიგეს თუ არა უკანასკნელი ამბები, რომ რევოლიუციას და მის გულს პეტროგრადს საფრთხე მოელის ჩვენი ამხანაგები მოიჩქარიან, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან რევოლიუცია კონტრ-რევოლიუციონერებისაგან. იქ, ცივ და ნესტიან თხრილებში ძლიერი მტრის პირდაპირ მთელი წლობით იდგნენ ჩვენი ამხანაგები და უკანასკნელ ძალ-ღონეს ალევდენ გარეშე მტრის დასამარცხებლათ, ამ საშინელ მდგომარეობის დროს მათ აღფრთოვანებდა და იმედით გულს უსვენებდა ის, რომ აქ საბოლოოთ გაიმარჯვებდა რევოლიუცია და დადგებოდა სანეტარო დრო. გაიგეს თუ არა, რომ რევოლიუციას ემუქრებიან არა თუ გარედან, შიგნიდანაც, გაიგეს რომ რევოლიუციონურ დემოკრატიის წარმომადგენელთა დაღუპვა განიზრახეს, ფიცხლავ დაიძრნენ პეტროგრადისკენ, რომ აქაც თავიანთი სისხლით გადაარჩინონ თავისუფლების საქმე. დეე გაიგოს რუსეთის მთელმა დემოკრატიამ რა თავდადებული ქომაგია რევოლიუციის ფრონტი, რომელიც იმ დროს, როდესაც ვილჰელმის ჯარებთან გაჩაღებული ომია მას არ ავიწყდება შინაური საქმე და თავის საუკეთესო ძალას გზავნის სახლში, რომ არ დაღუპონ რევოლიუცია. ვაშა ამ ჯარს! იცოდეთ ამხანაგებო, რომ თქვენთან არის მთელი რუსეთის დემოკრატია. თქვენ ამაგს სამშობლო თავის დღეში არ დაივიწყებს. გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას! გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციონურ ჯარს.

აჯანყების უკანასკნელი ნაშთები.

პეტროგრადი. 6 ივლისს დილით გასწმინდეს „ბოლშევიკების“ უკანასკნელი ბუნაგი. პეტროგრადის გარნიზონის ერთმა რაზმმა მთავარ სარდლის თანაშემწე კოზმინის მეთაურობით დაიჭირა კშესინსკაის სასახლე. წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, რადგან იქ მყოფთ ღამით დაეცალათ სახლი. სასახლეში იპოვნეს მრავალი ვინტოვკა და ასაფეთქებელი ნივთიერებაც. იქ დარაჯები დააყენეს. შემდეგ ჯარი მივიდა პეტრე-პავლეს ციხეში. ცოტა სროლის შემდეგ ბოლშევიკები დანებდნენ, ჯარს ციხე დაეპყრა. 12 საათზე ციხეში მივიდა მთავარი სარდალი პოლოვცევი. იარაღის დათვლის დროს იქ გამოცხადდა „ბოლშევიკების“ დელეგატი და განაცხადა, რომ ვასილიევის კუნძულზე მყოფი მათი ამხანაგები დანებდნენ და დაემორჩილეს დროებით მთავრობას და დეპუტატთა საბჭოს.

ფინლიანდიის ავტონომია.

ჰელსინგფორსი. სეიმმა მიიღო კანონპროექტი ფინლიანდიის ავტონომიის შესახებ. მლადოფინ—შვედების შესწორება კანონები დროებით მთავრობას წარუდგინოს დასამტკიცებლათ, უარჰყვეს. ამგვარათ კანონი მიღებულათ ითვლება.

ჯარის მისვლა პეტროგრადში.

პეტროგრადი. 6 ივლისს პეტროგრადში ფრონტიდან მოვიდა მიტავის გუსარის პოლკი. სასახლის მოედანზე მათ მიესალმა სკობელევი, ჩერნოვი და ავქსენტიევი. მათ საპასუხოთ ძლიერი სიტყვა წარმოსთქვა ჯარის უფროსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მათში თავის დღეში არავინ ყოფილა სამშობლოს მოღალატე და არც იქნება. მიტავის პოლკი მიიღებს ზომებს, რომ აქ დაბუდებულმა მოღალატეებმა რევოლიუციის გამაგრებას ხელი არ შეუშალონ. 9 საათზე შტაბში მოვიდა კერენსკი. ჯარმა დიდი ოვაცია გაუკეთა. ის შტაბში მივიდა. ჯარმა გამოითხოვა გარეთ. კერენსკი სარკმელზე გადმოდგა და გრძნობით სავსე სიტყვით მიმართა ჯარს. მის შემდეგ ილაპარაკა სკობელევმა და ჩერნოვმა.

გერმანიის რეიხსტაგში.

სტოკჰოლმი. ვოლფის სააგენტო იტყობინება გერმანიის რეიხსტაგში დღეს წარმოთქმულ იმპერიის კანცლერის სიტყვას რეზიუმეს. „გერმანიას—სთქვა კანცლერმა—არ უნდა ომი შემოერთების სურვილით. ჩვენ თანახმა ვართ ისეთ ზავზე, რომელიც შეუძლია მიიღოს იმ ხალხმა, რომელიც იცავს თავის საქმეს. ჩვენი სამშვიდობოთ გაწვდილი ხელი ჰაერში დარჩა. იმპერიის საზღვრები უზრუნველყოფილი უნდა იყოს. უნდა წინააღუდგეს მოკავშირეთა ეკონომიურ შემოტევას. თუ მტრებს უნდათ მოლაპარაკება გერმანია ამის თანახმაა. მე სასარგებლოთ მიმაჩნია დიდ პარტიებთან შეთანხმებით მოქმედება. ამ მხრით მთავრობა მზათ არის.

---

*) ეს წერილი დაწერილი გვქონდა, როცა დეპეშა დაიბეჭდა გუშინდელ ჩვენს გაზეთში კანცლერის ბეტმან-ჰოლვეგის სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

კერენსკის მოკვლის განზრახვა.

პეტროგრადი. დღეს ცნობები მიიღეს, რომ პოლოცკში განიზრახეს კერენსკის მოკვლა, მაგრამ ამაოდ. კერენსკი სრულიად ჯანსაღად არის.

შრომისა და სასურსათო საქმეთა მინისტრების მოწოდება.

პეტროგრადი. შრომისა და სასურსათო საქმის მინისტრებმა მოწოდება გამოსცეს, რომლითაც მიმართავენ ყველა მოქალაქეს მიაშურონ სოფლებს, დაეხმარონ სოფლელებს პურის მკაში და მით გადაარჩინონ ქვეყანა მოსალოდნელ შიმშილს.

ლენინი გაჩხრიკეს.

პეტროგრადი. გაჩხრიკეს ლენინის ბინა. ის სახლში არ აღმოჩნდა.

საქალაქო არჩევნები.

კრასნოიარსკი. საქალაქო არჩევნებზე პირველათ გავიდენ ს. დემოკრატები, შემდეგ ს.-რევოლიუციონერები და ბოლოს ხალხის თავისუფლების პარტიის წარმომადგენელნი.

ს.-დემოკრატი ქალაქის თავი.

კოსტრომა ქალაქის თავათ აირჩიეს ს.-დემოკრატი ვორობიევი. ს.-რევოლიუციონერებმა და ხალხის თავისუფლების პარტიის წარმომადგენლებმა ხმისნობაზე უარი სთქვეს.

კოზლოვსკი და მისი ამხანაგები.

პეტროგრადი გუშინ დატუსაღებული კოზლოვსკი და მისი ამხანაგები გადასაგზავნ სატუსაღოში გაგზავნეს, მათ გერმანელებთან დამოკიდებულებაში სდებენ ბრალს.

უკრაინის რადის უნივერსალი.

კიევი. უკრაინის ცენტრალურმა რადამ შემდეგი უნივერსალი გამოაქვეყნა: უკრაინის ქვეყნის მოქალაქენო! დროებით მთავრობის წარმომადგენელმა შეგვატყობინა თუ რა ზომებს ღებულობს მთავრობა უკრაინის მართვა-გამგეობის მოსაწყობათ დამფუძნებელ კრებამდე. დროებითი მთავრობა იცავს რა რევოლიუციის მიერ ბრძოლით მოპოებულ თავისუფლებას, აღვიარებს ყოველ ერის თვით-გამორკვევის უფლებას, ხელ უწყობს უკრაინის დემოკრატიის წარმომადგენლებს, მოუწოდებს შეთანხმებისთვის, მოაწყონ უკრაინის ახალი ცხოვრება მთელი რევოლიუციურ რუსეთის საკეთილდღეოთ. ჩვენ, ცენტრალური რადა, მუდამ იმის მომხრე ვიყავით, არ გამოგვეყო უკრაინა რუსეთიდან და მასთან ხელიხელ ჩაკიდებული ერთად გაგვეწია საერთო ულელი მისი ზრდა განვითარებისთვის, ვაცნობებთ ყველა უკრაინის მოქალაქეთ: უკრაინის ხალხის მიერ არჩეული ცენტრალური რადა ჩქარა შევსებულ იქნება სხვა ერების წარმომადგენლებით, რომლებიც უკრაინაში სცხოვრობენ, მათი რევოლიუციონურ ორგანიზაციების სახით და მაშინ ის გახდება ერთათ ერთი [illegible] დემოკრატიის ორგანოთ რომელიც წარმოადგენს მთელი ჩვენი მხრის მცხოვრებთა ინტერესებს. ამ გვარათ შეკრებული რადა გამოჰყოფს გენერალურ სეკრეტარიატს, რომელიც დროებით მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლათ. ამ ორგანოს ხელში იქნება მთელი უკრაინის მართვა-გამგეობის მოწყობის საქმე. ცენტრალურ ძალის გენერალური სეკრეტარიატი მთელ ძალ-ღონეს იხმარს დაიცვას მოპოებული თავისუფლება და ეცადოს უკრაინის ავტონომიურ ნიადაგზე მოწყობა. ცენტრალური რადა მცხოვრებთა უმცირესობასთან შეთანხმებით შეიმუშავებს ავტონომიურ მართვა გამგეობის კანონების პროექტებს დამფუძნებელ კრებაში დასამტკიცებლათ წარსადგენათ. ვსცნობთ რა, რომ მთელ რუსეთში მცხოვრებ ერების ბედ-იღბალი ერთნაირათ მჭიდროთ შეკავშირებულია რევოლიუციის საერთო გამარჯვებასთან, ჩვენ გადაჭრით უარს ვყოფთ დამფუძნებელ კრებამდე თავისთავათ უკრაინის ავტონომიის განხორციელებას. რაც შეეხება უკრაინის ჯარის ნაწილების შედგენას, უკრაინის რადას ეყოლება თავისი წარმომადგენელი სამხედრო მინისტრის კაბინეთში, გენერალურ შტაბში და უმაღლეს მთავარ სარდალთან განსაკუთრებულ უკრაინელ ჯარების შედგენის საქმის მოსაწყობათ, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება სამხედრო მინისტრის აზრით, ვაცნობებთ რა ამას უკრაინის მოქალაქეთ, მტკიცეთ გვრწამს, რომ უკრაინის დემოკრატია ეცდება მიიყვანოს ქვეყანა სრულ გამარჯვებამდე.

ომის დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 7 ივლ. რუმინიის ფრონტზე ჩვეულებრივი სროლა.

კავკასიის ფრონტზე, გიუმიშ ხანეს სამხრეთ დასავლეთით ოსმალთა რაზმების იერიშები მოვიგერიეთ.

ჰაერში ბრძოლა. დვინის მახლობლათ მტერმა ჩვენი ჰაეროპლანი ჩამოაგდო და მფრინავი პორუჩიკი ცერგილაძე სუბუქათ დაშავდა.

პარიზი. 6 ივლისი. მდ. სომასა და ენს შუა, ვოკლერასა, კრაონსა და მდ. მაასის რაიონებში საარტილერიო სროლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. გოშის აღმოსავლეთ გერმანიის ჯარმა 800 მეტრის მანძილზე იერიშები მოიტანეს და ჩვენი პოზიციების წინა სანგრები დაიკავეს, მაგრამ მალე კონტრ-იერიშები მივიტანეთ და დაკარგული ადგილები კვლავ უკან დავიბრუნეთ.

პარიზი. 6 ივლისი. მდ. სომასა და ენს შუა საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. სენ-კანტონის სამხრეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ, კრონასა და იურტემიზას სამხრეთით მტერმა ჩვენი სანგრები დაიკავა, მაგრამ მალე უკანვე დავიბრუნეთ. 5—6 ივნისის განმავლობაში ქ. რეიმს გერმანელებმა 1000 ყუმბარა ესროლეს.

ლონდონი. 6 ივლისი. საფრანგეთის ფრონტზე, ფრენუას მახლობლათ მტერს თავს დაესხით და მათ ზარალი მივაყენეთ.

რომი. 6 ივლისი. კრეზიკას დასავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ, იერიშები მოვიგერიეთ აგრეთვე კვინიკას ველზე მონტესანტოს რაიონში მტრის რაზმები გავფანტეთ.

ახალი ამბები

დღეს მოხდება ბათუმის საქალაქო არჩევნები, მოუწოდებთ მოქალაქეებს მისცენ ხმა რუსეთის სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას, პირველ ნომერს—№ 1.

◆ **გაფიცვის დასრულება.** ჩილინგაროვისა და ძეგველოვის ნოქართა გაფიცვა დასრულდა. ნოქრების ყველა მოთხოვნილებები სავსებით დააკმაყოფილეს.

◆ **„წითელი ლიტერატურისათვის“.** სამხედრო წესების ძალით შემოერთებულ ოსმალეთის ოლქების სამმართველოს მოსამსახურეთა საერთო კრებამ 5 ივლისს დაადგინა, ყოველთვიურათ ჯამაგირის 1 ნახ. პროც. გადასდონ ჯარში „წითელ ლიტერატურის“ გასავრცელებლათ და ამავე მიზანს მოახმარონ ის 2000 მან., რომელიც სამმართველოსთან არსებულ მომხმარებელთა დუქანმა დასტოვა მოგების სახით.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 8 საათზე სახალხო სახლში ამხ. ჰაიკ აზატიანი წაიკითხავს ლექციას ომსა და ზავზე.

◆ **საპარიკმახეროებში.** თფილისის დალაქ პარიკმახერთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა მოაგონებს ხაზეინებსა და ამხ. მუშებს, რომ საპარიკმახეროებში მუშაობა ჩვენი დადგენილების თანახმათ სწარმოებდეს დილის 9—1, საღ. 3—7 საათ. ამასთანავე ვაფრთხილებთ ხაზეინებსაც და მუშებსაც ნუ დაარღვევენ დადგენილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი გვარი და სახელი გამოცხადდება გაზეთებში.

◆ **სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება** სთხოვს სასურსათო საქმის მთავარ რწმუნებულს ბ-ნ მოახლონოვს განკარგულება, რათა არ ჩამოართვან საზოგადოებას ლტოლვილთათვის დანიშნული ხორბლეულობა.

◆ **გორის საქალაქო არჩევნები.** 4 ივლისს დასრულდა გორის ამომრჩეველთა სიების შედგენა. ამომრჩეველთა რიცხვი ჯარისკაცებითურთ 6 ათას მეტი. არჩევნები [illegible] ივლისის შუა რიცხვებში.

◆ **თავგასული სახლის პატრონი.** მე-12 სამილიციო ნაწილში გორის ქუჩაზე ივ. კარაკაშევის სახლი № 23 საშინელ ანტი სანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება. ადგილობრივ მოქალაქეთა კომიტეტმა მიმართა ბ. კარაკაშევს დაესუფთავებინა თავისი ეზო, მაგრამ თავგასულმა სახლის პატრონმა ყურადღებაც არ მიაქცია კომიტეტის წინადადებას. საჭიროა ენერგიული ზომების მიღება ვისგანაც ჯერ არს.

◆ **სპეკულიაციის ნიმუში.** სახლის პატრონი მირიმანოვი ომამდე აქირავებდა ოთახს 40 მანეთად, შემდეგ 56 მ. ხოლო დღეს აძლევინებს მდგმურს 85 მან.

◆ **წარმოდგენა.** დღეს ახალ კლუბის საზაფხულო თეატრში და ბაღში გაიმართება წარმოდგენა—სეირნობა გოლოვინსკის რაიონის ჯარისკაცთა პოლიტიკურ კლუბის სასარგებლოთ.

◆ **თფ. საქონლის სადგურის** მუშებმა საჭიროთ სცნეს დელეგატების გაგზავნა ტრაღიკულათ დაღუპულ ამხ. ფ. ბურჯანაძის დასაფლავებაზე. აირჩიეს ამხ. ქ. ლომაძე და ე. ტიხითათრიშვილი, რომლებსაც დაევალა ცოცხალი ყვავილებით შეამკონ მიცვალებულის ცხედარი და წარმოთქვან სიტყვა თფილისის საქონლის სადგურის მუშების და კანტორის მოსამსახურეთა სახელით და ადგილობრივ ორგანიზაციის დავალებით.

◆ **კარტისა და ლოტოს თამაშის აკრძალვა.** მ. და ჯ. დეპუტ. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ყველა გასართობ ადგილებში აკრძალა კარტისა და ლოტოს თამაში.

◆ **თფილისის მილიციის გაძლიერება.** ამას წინათ კომისარებმა კრებაზე დაადგინეს მოუმატონ მოსამსახურეები სისხლის სამართლის მილიციის ნაწილში, რომ მიღებულ იქნას ყოველივე ზომები ქურდობისა და სხვა ავაზაკების ასალაგმავად. სისხლის სამართლის საქმეების უფროსის თანაშემწეთ დაინიშნა მეცხრე სამილიციო უბნის კომისარის თანაშემწე ელიზბარ ჯაჯანაშვილი.

◆ **ლექციები.** პროპაგანდისტა კოლეგიამ გადასწყვიტა მოაწყოს რამდენიმე ლექცია თფილისის საავადმყოფოებში.

◆ **დაკარგული ბავშვი.** სამი თვე არის, რაც ვ. რუხაძის სტამბიდან გამოვიდა 15 წლის ბავშვი სიმონ ირაკლის ძე კიწმურაშვილი და სადღაც დაიკარგა. ნიშნები: ტანათ წლოვანობის შესაფერი, გამხდარი, თეთრი სახე, თვალ ჭრელა, ქერა თმა აქვს. თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ გვაცნობოს: ქ. თფილისი, საქონლის სადგურში კოწია მეფარიშვილს.

ჯაშუში.

სახე მკრთალი, საზიზღარი.
ბოროტების ღვიძლი შვილი;
ტოლ-მეგობრის მოღალატე,
მოძმის სისხლით გალეშილი.
დღეს მოსულა, წითელ დროშას
თავს აფარებს, ეფიცება;
ცდილობს ხალხი მოატყუოს,—
ძმა-მეგობრათ ევლინება.
მაგრამ ფლიდსა, გაიძვერას
ყველა იცნობს ვინც ბრძენდება.
იტანტალებს მარტოთ-მარტო,
სანამ სადმე ჩაძაღლდება.

სიო ზიდისთაველი.

◆ **„სოფლის მუშა“.** ამ დღეებში გამოვა სოციალ დემოკრატიული ყოველ კვირეული ჟურნალი „სოფლის მუშა“.

◆ **მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ვერის რაიონის პოლიტიკური კლუბი.** კლუბის წევრებათ მიიღებიან მუშები და ჯარის კაცები. საჭიროა ცნობები საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ ორგანიზაციების და სამხედრო ნაწილებში საორგანიზაციო კომიტეტების მხრით რეკომენდაცია. საწევრო გადასახადი 3 მან. წელიწადში, გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ. კლუბში შესასვლელათ იხდიან 10 კაპ. კლუბი მოთავსებულია ვერის საქალაქო ბაღში და ღიაა დილის 12 ს. ღამის 12 საათამდე

◆ **დაჯარიმება.** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა 2 ათასი მ ნ. დააჯარიმა მაგარი სასმელების გაყიდვისათვის ადგილობრივი კლუბი „თფილისის კრუჟოკი“.

◆ **7 მკათათვეს** შედგა ქალაქის მერვე ნაწილის რ. ს. დ. მ. პ. ბიუროში პარტიის წევრთა კრება, მანდილოსანმა ტოროშელიძისამ ესაუბრა დამსწრეთ დამფუძნებელ კრების არჩევნებსა და მის მნიშვნელობის შესახებ.

◆ **სამგლოვიარო წერილი:** ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ ამხ. ნ. გ. მიხაკო სიხარულიძის უდროოთ დაკარგვის გამო: გრიგოლ ცინცაძე, სამსონ კალანდაძე, დიმიტრი ქლენტი და კაპიტო ქლენტი.

— დიდათ დაგვაწუხრა ამხ. მიხაკო სიხარულიძის უდროოთ დაკარგვამ. სიო კალანდაძე.

კრებები და მიტინგები.

9 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ხარფუხის კლუბში ქართულ ენაზე წაკითხულ იქნება ლექცია: ს.-დემოკრატიულ პროგრამაზე.

— 9 ივლის საღამოს 7 საათზე, ეპარხიალურ სასწავლებელში, (ანდრეევის ქუჩაზე) შესდგება მეათე უბნის ამომრჩეველთა კრება. ლექციას წაიკითხავს [illegible] შემდეგ თემაზე „საქალაქო არჩევნები და სოციალ-დემოკრატია“.

— 9 ივლისს, 6 სავაჟო გიმნაზიის შენობაში (სასულიერო ქუჩა № 3), შესდგება კრება რ. ს. დ. მ. პ. 1 სამილიციო უბნის საარჩევნო კომისიისა. დღის წესრიგი: მიმდინარე კითხვები.

— 9 ივლისს დილის 10 ს. დანიშნულია საერთო პარტიული კრება პირველი რაიონისა. დღის წესრიგი: მოხსენება რაიონის კოლექტივისა, ხაზინადარის ანგარიში, საორგანიზაციო კითხვები, მუშათა კლუბი, საარჩევნო ფონდის შესახებ, არჩევნები რაიონის კოლექტივში და თფილისის კომიტეტში.

— 9 ივლისს, საღამოს 6 საათზე არსენალის შენობაში და ნაშუ დღის 3 საათზე ნავთლუღში მოწვეულია მიტინგი. მოხსენებებს გააკეთებენ ამხ. ვერეშჩაკი და იდაშკინი მთელი რუსეთის ყრილობის მუშაობის შესახებ. სთხოვენ ამხანაგებს დაესწრონ.

— 10 ივლისს 7 ნახევარ საათზე დანიშნულია პარიკმახერ დალაქთა კრება. (პეტრე დიდის ქუჩა № 18), ვსთხოვთ ამხანაგებს დაესწრონ. კავშირის გამგეობა.

— 11 ივლისს 6 ნახ. ს. საღამ. დანიშნული არის მესამე რაიონულ კოლექტივის მორიგი კრება. ვთხოვთ ამხანაგებს უეჭველად დაესწრონ.

— დღეს, 12 საათზე სასახლეში (თეთრ დარბაზში) შესდგება მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის სხდომა.

— დღეს, დილის 10 საათზე მკერვალთა პროფესიონალურ კავშირის კანტორაში მოხდება კავშირის წევრთა კრება. გამგეობა სთხოვს ამხანაგებს ნუ დააკლდებიან კრებას.

— დღეს დილის 10 საათზე ავჭალის აუდიტორიაში დანიშნულია კოლოფის მკეთებელ მუშათა კრება. დღის წესრიგი: 1) გამგეობის წევრთა არჩევა; 2) მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში წარმომადგენლის არჩევა, 3) მიმდინარე საქმეები. ამხანაგ მუშებს ვსთხოვთ დაესწრონ ამ კრებას.

— სტუდენტთა კომისია სთხოვს ამხ. აღმწერლებს მობრძანდენ დღეს 1 საათზე ქალ. უმაღ. კურსებზე მატერიალურ საკითხის შესახებ მოსალაპარაკებლათ.

— დღეს, საღამოს 8 საათზე მოხდება მიხეილის საავადმყოფოს ექიმთა კრება. მოხსენებებს წაიკითხავენ ს. კანდელაკი და [illegible] ბურკო.

— დღეს, დილის 11 საათზე, ველაბრის კლუბის ბაღში (მიხაილოვის ქუჩა № 65) შესდგება საზოგადო კრება ნოქართა პროფესიონალურ კავშირის წევრებისა. აარჩევა დელეგატი რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეების მე-5 ყრილობაზე გასაგზავნათ.

პროვინციის ქრონიკა.

ზემო-ქართლი. ზემო-ქართლის ყველა აღმასრულებელ კომიტეტებიც გლეხთა საბჭოების ინიციატორობით მოეწყო მომრიგებელი კამერები გლეხთა და მემამულეთა შორის გამოწვეულ უთანხმოებათა მოსარიგებლათ. ამ ინსტიტუტის დაარსებას ხალხი სიხარულით მიეგება და არჩევნებშიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო.

სოფ. ბრილი. (გორის მაზრა). ბრილის მცხოვრებლებმა აუკრძალეს ბრილის ახლო მდებარე ტყის პატრონს თ-დ ბაგრატიონს და ხალხს ახალი ხის მოჭრა. ტყის დასაცავათ აირჩიეს მცველები. ეს ტყე რამდენიმე წელიწადია უმოწყალოთ იჩეხებოდა და ისპობოდა. დღეს-კი ხალხი დაეპატრონა მას და ტყის მტაცებლობასაც შეჩერდა.

დ. ხაშური. ხუთშაბათს, 29 ივნისს შესდგა ხაშურის მომხმარ. საზოგადოების „ცხოვრების“ წევრთა წლიური კრება. კრებას დაესწრო წევრთა უმრავლესობა. ანგარიში წარმოადგინეს 1916 წლისა იანვრის 1917 წლამდე. წმინდა მოგება გამოირკვა 1,628 მ. 48 კ. კრებამ გადაუხადა რა მადლობა უფასო შრომისათვის გამგეობას, აირჩია გამგეობაში ახალი წევრები.

სად. ზუზუმბა (მაჰმადიანთა სოფელი). ადგილობრივ ქართველ მოწინავე პირებს განზრახვა აქვთ მოაწყონ მაჰმადიანთა შორის სოც.-დემოკრ. წრე.

აბაშის რაიონი. აქეთ გახშირდა საქონლის ჭირი. ბეითალი გვყავს, მაგრამ ასაცრელი წამალი არა აქვს და საქონლების კვლით ისაზღვრება მისი მოღვაწეობა. რაიონმა დიდი ზარალი ნახა ამ მხრით, ურმების მოძრაობა შეჩერებულია და ამიტომ ძნელდება საქონლების გადატანა გადმოტანა. ამ ჟამად ჭირი თითქმის ყველა სოფლებში მძვინვარებს.

— შედგა რაიონული სასურსათო კომიტეტი, რომელიც მუშაობას შეუდგა. ჯერ ჯერობით მარტო სიმინდის ყიდვით კმაყოფილდება. სიმინდი 2 მ. 80 კ. ფასობს.

— აბაშის რაიონის ს. დ. მ. პ. კოლექტივის კრება რამოდენიმეჯერ მოხდა. როგორც ირკვევა, ჩვენი გლეხობა თანდათან ერკვევა პარტიულ პროგრამებში, თვითონ ცდილობს გაეცნოს ყველა პარტიების მთავარ მიზნებს.

— აბ. რ. კოლექტივს 16 ივნ. სხდომამ დაადგინა: ვინაიდან ჯარებში ხშირად ხდება არეულობა და ამ არეულობას უმთავრესად ყოფილი ჟანდარმ პოლიციელები აწყობენ, ამიტომ მიეცეს წინადადება მ. და ს. საბჭ., რომ ისინი განსაკუთრ. ნაწილით იყვნენ ჯარში, რომ მათ ბნელ განზრახვებს ფრთები შეეკვეცოს და მათ გამოსვლებს შეგნებულად დახვდენ.

ზოდი. 29 ივნისს მოხდა პირველი კრება ახლად შემდგარ ქალთა წრისა, რომელშიაც შედიან სხვადასხვა დარგის მანდილოსნები რიცხვით 40 ადამიანი. მიზანი ამ კრებისა იყო გეგმის შემუშავება და ამორჩევა წარმომადგენლის მუშათა საბჭოში, ბევრი თათბირის შემდეგ გადაწყვეტილ იქმნა იმართებოდეს ყოველ კვირა ლექციები და საუბრები.

ბოლოს მოხდა არჩევნები. ერთ ხმათ ამოირჩიეს მუშ. საბჭოში წევრად მ. კაპანაძე.

ვუსურვებთ ახლად შემდგარ ქალთა წრეს ნაყოფიერ მუშაობას.

დ. ონი. აქაურ კოოპერატივ „შეღავათს“ გამოილია სიმინდი, პურის ფქვილი, ნავთი და მარილი. გამგეობამ უკვე გაგზავნა კაცი ქუთაისში ყველა ამ საგნების შესაძენათ.

— ოსეთიდან სიმინდი არ გადმოდის. ამიტომ სიმშილობამ ამ საზოგადოებაში ფართო ხასიათი მიიღო, სასურსათო კომიტეტებს აირჩევენ.

— კოოპერატივმა შეიძინა ფართალი თერთმეტი ათასი მანეთის. ზომიერ ფასში ყიდის. აგრეთვე გამგეობამ დაადგინა გახსნას სახარაზო დუქანი.

— 1 ივლის ს. ფედერალისტმა ზუნდაძემ წაიკითხა ლექცია ეროვნულ საკითხზე. ოპონენტათ გამოვიდა პ. იაშვილი.

ს. ონტოფო. [illegible] და იოსე ნადარეიშვილი განაგრძობენ ვაჭრობას არყით და ღვინით. ხშირათ შეხვდებით მთვრალ ხალხს. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციონ.

ს. აცანა (გურია). ჩვენი სოფელი კულტურულათ წინ მიდის. გვაქვს ორ-კლასიანი სკოლა, უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო, მომხმარებელი საზოგადოება და სხვა. აქაურ სკოლის დარბაზში ხშირათ იმართება წარმოდგენები და კრებები. სამწუხაროთ დარბაზი იმდენათ ვიწროა, რომ ნახევარ ხალხს ვერ იტევს. ამიტომ საზოგადოებამ გადასწყვიტა ააგოს სახალხო სახლი, სადაც მოთავსებული იქნება სახალხო თეატრი და წიგნთ საცავ სამკითხველო. შენობის აგებას უკვე შეუდგნენ. ვუსურვებთ გურიის სხვა სოფლებსაც მიბაძონ აცანელებისთვის.

† ამხ. პლატონ მენაღარიშვილი.

მეტათ სამწუხარო ამბავი გავიგეთ,—მიმდინარე წლის 5 აპრილს კოზლოვის სამაზრო ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე და დიადი იდეებით გატაცებული ამხ. პლატონ ჯამლეთისძე მენაღარიშვილი.

პლატონს კარგად იცნობდენ ბაქოს რკინის გზის დეპოს მუშები, როგორც განვითარებულ და თავდავიწყებით მომუშავე ამხანაგთაგანს. ჯერ კიდევ 18 წლისას ვხედავთ მას ბაქოში 1903—7 წ.წ. იგი იბრძვის თავის ამხანაგებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებს განმათავისუფლებელ მოძრაობაში... მაგრამ წამოიჭრა რეაქცია, ამოძრავებული ხალხი წელში გატეხა, ბევრი მებრძოლი ჩამოაშორა თავის საყვარელ საქმეს... პლატონსაც უმტყუნა ბედმა,—ვერ აიცდინა რეაქციის შავ კლანჭებს, 1907 წლის აგვისტოში დაატყვევეს და ადმინისტრატიულის წესით 5 წლით გადაასახლეს ასტრახანის გუბერნიაში. მალე „ნებადაურთველათ“ ბრუნდება ბაქოში, მაგრამ ადმინისტრაციის ფხიზელ თვალებს ვერ ასცდა, 1907 წელს ისევ დაატუსაღეს და 7 წლის კატორღა მიუსაჯეს. საერთაშორისო ომის დაწყებისას ამხ. პლატონი ლუცკის ციხეში იჯდა. ლუცკის აღების გამო მას სხვებთან ერთად თითქმის კიევამდე მოუხდა ფეხით სირბილი. ამან სამუდამოთ გასტეხა მისი ისედაც შერყეული ჯანმრთელობა, პლატონი მძიმეთ დაავადმყოფდა და წუთისოფელს გამოესალმა იმ დროს, როცა თავისუფლების პირველი სხივი უკვე გამოჩნდა... იგი ვერ ეღირსა საყვარელი მხარის, მშობლებისა და ტოლ-ამხანაგების ნახვას... და ეს გარემოება აორკეცებს ჩვენს მწუხარებას და გულს გვითუთქავს...

მშვიდობით ძმაო პლატონ! ვერ დავაფრქვევთ ცხარე ცრემლები შენს ობოლ საფლავს, მაგრამ ვფიცავთ განვაგრძობთ შენს საყვარელ საქმეს და საბოლოო გამარჯვებას მოვიპოვებთ.

ამხანაგი.

P. S. ამასთანავე „ერთობის“ რედაქციას ვახლებთ ამხანაგებს შორის შეგროვილ 10 მ. და ვთხოვთ ამხ. პლატონის ხსოვნის აღსანიშნავათ გაუგზავნოთ გაზეთი ჯარისკაცებს.

ა—ი.

ჯარი და რევოლიუცია.

რუსეთის რევოლიუციაში უმთავრესი როლი ეკუთვნის იმ კლასს, რომელსაც მებრძოლთა სისხლით შეღებილი დროშა რამდენიმე ათი წლების განმავლობაში მაღლა ეჭირა,—ეს კლასი პროლეტარიატია. ჯარმა ხელი გაუწოდა მას. ბასრი ლახვარი ჩასცა გულში დრომოჭმულ მთავრობას და დღეს კი რევოლიუციის დასაგვირგვინებლად ერთად ეწევიან ულელს.

მაგრამ როგორია დღეს ჯართა განწყობილება? 1889 წ. საფრანგეთის რევოლიუციის დროს ერთი მწერალი ამბობდა: „საქმე იმაშია თუ როგორ პოზიციას დაიკავებს ჯარი ამ რევოლიუციაში“-ო.

ასევე უნდა დადგეს ჩვენშიც საკითხი.

ჩემის ფიქრით ჯარი შეკავშირებულად, ერთსულოვნად უნდა იდგეს რევოლიუციის დარაჯათ. ჯარი, პროლეტარიატთან ერთად დედა ბოძი უნდა იყოს მისი. ისეთ არევდარევის ხანაში დაიბადა ჩვენი თავისუფლება, რომ მას ბევრი საფრთხე მოელის, დიდი ეკლიანი გზა აქვს გასავლელი, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, თუ ჯარი პროლეტარიატს და გლეხობას გვერდში უდგია, მაშინ ჩვენი ბრწყინვალე თავისუფლება [illegible] გამოვა. არის თუ არა ასე დღეს ჯარი?

განვიხილოთ ჯარის სულის კვეთება. ჯარში დღეს ოთხი მიმდინარეობაა. ერთი არის აპატიური ჯგუფი, რომელისთვისაც სულ ერთია თეთრი და შავი, ესე იგი გინდა გაიმარჯვოს გინდა დამარცხდეს რევოლიუცია—არ სტკენს თავს. მეორე დიდი ჯგუფში შეგნებული, გათვითცნობიერებული, ჩამოყალიბებული რევოლიუციონერები არიან, რომელთა შორის ბევრი კარგათ გამოცდილია ბრძოლაში. ეს ჯგუფი შეგნებულათ იკაფავს გზას და მიილტვის ორგანიზაციებისკენ, სადაც დემოკრატიის მძლე ძალა იკრიბება. აქ ხედავს ის შველას, აქ ხედავს რევოლიუციის ხსნას. მესამე მცირე—თუმცა წითელ ქურქში გადაცმულია,—მაგრამ მაინც გულით ძველი ჯოჯოხეთის მოტრფიალეა. ეს ჯგუფი დროს უცდის, რომ ფიცხლავ წითელი ქურქი აშკარად შავ ქურქით შეიცვალოს და ამ ნიადაგზე თუმცა მალულად, მაგრამ შეგნებულად მუშაობს. მეოთხე დიდი ჯგუფი ეს სტიქიური, შეუგნებელი ჯარია. ამ ჯგუფს 27 თებერვლამდის ვერ წარმოედგინა უმეფოთ ცხოვრება და ეხლა კი სჯერა, რომ ეს შეძლებულა.

აი ეს ორი უკანასკნელი ჯგუფი გვევლინება დღეს დეზორგანიზატორთა როლში. ერთი, ესე იგი მესამე ჯგუფი, ჯგუფი კონტრ-რევოლიუციონერებისა შეგნებულათ,—ხოლო, მეოთხე, ჯგუფი სტიქიური—შეუგნებლათ.

ამ ორ უკანასკნელთა ბანაკში აქვთ ნიადაგი ჩვენს მეუმრავლესეებს. კონტრ-რევოლიუციონერები მეუმრავლესეთა ლოზუნგებში ნახულობენ სადეზორგანიზაციო მასალას. ბევრი წინანდელი მონარქისტი, ეხლა ბოლშევიკებს უჭერს მხარს და მათ ლოზუნგების ერთგული დამცველია. ერთი უნტერ-ოფიცერი, რომელიც მე კატორღას მპირდებოდა იმიტომ, რომ ერთხელ მარსელიოზა წამომცდა, დღეს გამოდის და ბოლშევიკებს იცავს. ასეთი მაგალითები ბევრია.

ხოლო მეორეს, ესე იგი სტიქიურ რევოლიუციონერთა ჯგუფის მიერ ბოლშევიკების ლოზუნგების მიღება იმით აიხსნება, რომ მათ ბოლოთ ვერ აუღეს თანამედროვე ხანას, სანგრებში სამი წლის განმავლობაში სულიერ-ხორციელათ დაღლილ-დაქანცულ ჯარს არ სურს ომი და სხვა. აი აქაა ჩვენი შველა, გაიძახის ჯარის ეს ნაწილი.

ვიმეორებ ჯარში არევ-დარევა შეაქვს ამხ. ბოლშევიკების ლოზუნგებს და ვაი თუ გვიანღა იქნეს თითზე კბენა, ჩვენ ჯარს ორგანიზაციისკენ ვუწოდებთ, ისინი კი დეზორგანიზაციას უმზადებენ ნიადაგს, ეს საფრთხეა რევოლიუციისთვის.

საქარელი მ.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში·

ტფილისი.

მეოთხე რაიონის ს. დ. კოლექტივისათვის ბევრს ჯერ კიდევ არ დაუბრუნებიათ საწევრო კვიტანციის წიგნაკები და არც ანგარიში გაუსწორებიათ. ასეთი უყურადღებობა აფერხებს კოლექტივის საქმეებს. მდივანი კოლექტივისა კიდევ ერთხელ სთხოვს ყველა იმ ამხანაგებს, ვისაც ასეთი წიგნაკები და საწევრო ფული მოეპოვება, დაუყოვნებლივ შემოიტანონ მეოთხე რაიონულ კოლექტივის ბიუროში (ლორის მელიქოვის ქ., ქალების 1-ლი გიმნაზია). ბიურო ღიაა ყოველ დღე დილ. 10—3 ს—დე და საღ. 6—7 ს—დე.

იმ წევრთ, ვისაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ საწევრო ბარათები (членскія карточки), ნაცვლად ძველი კვიტანციებისა, მობრძანდენ აღნიშნულ ბიუროში და შეიცვალონ კვიტანციები ბარათებზე.

მდივანი კოლექტივისა: ე. კალ—ლი.

სოფ. ასკანა.

25 ივნისს ასკანაში შესდგა ასკანის რაიონის სოც.-დემოკრატიული პარტიის წევრთა საერთო კრება. პარტიული საოლქო კონფერენციის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა თფილისიდან ჩამოსულმა ამხ. ვიკ. ნინიძემ. განუმარტა ხალხს ნაციონალური და შინაური საკითხები. კრებამ მიიღო კონფერენციაზე მიღებული რეზოლიუციები. ნ.

ძ. ყარხი.

3 ივლისის კრებას აქაური სოც.-დემ. ორგანიზაციის წევრებისა დაესწრო 400-მდე წევრი, თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. გაგნიძე. მდივნად [illegible] ბექაური [illegible]. მდივანმა მოხსენება გააკეთა ახლად არჩეული კოლექტივის მოქმედებაზე, პრეზიდიუმში აირჩიეს თავმჯდომარეთ ივანიანცი, თანაშემწეთ გაგნიძე, მდივნებად კოსტანოვი და ძიმისტარიშვილი და ხაზინადარათ ანთელავა, კოლექტივს ერთი კვირის განმავლობაში ორი სხდომა ჰქონდა. დღიურ წეს-რიგში იყო: ისოლაციონისტ-რევოლიუც. მოქმედება, პარტიის გაერთიანება, ამხ. ველიჯანოვის განცხადება, საშუალებების გამონახვა საარჩევნო თანხისა, პარტიული სტამბა, დამფუძნებელი კრება, გაგრძელება მოხსენებისა საოლქო კრების შესახებ და სხვები.

პარტიული საკითხის მომხსენებლად გამოვიდა ამხ. კოენიკა როგორც გამოირკვა 2 ივლისს გამართულა სახალხო მიტინგი, მიტინგზე ულაპარაკიათ მხოლოდ ესერებს. სოც.-დემ. ორატორებს სიტყვა არ ათქმევინეს, როდესაც გადიოდენ ტრიბუნაზე აწყვეტინებდენ სიტყვას, სთხოვდენ მანდატებს და სხვა. მათი ორატორები კი უმანდატოთ გადიოდენ ტრიბუნაზე და არავინ კონტროლს არ უკეთებდა, ერთი სიტყვით ეს ძალმომრეობა იყო განზრახული. ამას ამტკიცებდა თვით ჯარისკაცთა საბჭოს წევრი. კრებამ დიდი კამათის შემდეგ, სცნო ასეთი გამოსვლები არა სასიამოვნოთ და აირჩია კომისია, რომელიც გამოარკვევს ზომებს ესერების ასეთი გამოსვლების წინააღმდეგ. პარტიის გაერთიანებაზე ყველა ორატორები თვით ამხ. ბოლშევიკებიც ერთი აზრისა იყვნენ. აუცილებლად ეს ორი ფრაქცია უნდა შეერთდეს. ამხ. ველიჯანოვმა განაცხადა, რომ ზოგიერთი წევრები პარტიისა რამოდენიმე პარტიაში ჩაწერილან. ამის შესახებ კრებამ დაადგინა იხელმძღვანელონ ჩვენი წესდების მე 13 მუხლით. საარჩევნო თანხის და პარტიული სტამბის შესახებ კრებამ დაადგინა გამართონ ლექციები, მოაწყონ წარმოდგენები, ლოტერეა-ალეგრი და სხვა. 30% გადასდონ საოლქო საარჩევნო თანხის გასაძლიერებლად.—შემდეგ მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის წევრმა. კრებამ დაამტკიცა ანგარიშები. საწევრო ფული შემოსულა 239 მ. 75 კ., შემოწირულება 100 მ. 70 კ., ინტერნაციონალური საღამოდან დარჩენილა 807 მ. 80 კ., გასავალი: 1) პარტიული ლიტერატურის შესაძენათ ამხ. ივანიანცს 200 მან., 2) საოლქო ყრილობაზე გაგზავნილ დელეგატს 200 მან., 3) წევრს თფილისის ორგანიზაციის გლეხთა ორგანოს მისაწყობათ 50 მან., 4) საოლქო კომიტეტს სასარგებლოთ 20% 197 მ. 40 კ., 5) სხვადასხვა ხარჯები 65 მ. 73 კ., დარჩა კასაში 434 მ. 62 კ. რომელიც გადაეცა ხაზინადარ ანთელავას. საწევრო ფულების შესახებ კრებამ აირჩია ერთი ამხანაგი, რომელსაც დანიშნულ ალაგზე წევრებმა უნდა მიუტანონ საწევრო ფულები, და ნაჩვენი კითხვები გადაიდვა შემდეგ კრებამდე, რომელიც დანიშნულია 8 ივლისს სამოქალაქო საკრებულოში.

პ. ძიმისტარიშვილი.

მუშათა ცხოვრება

ქალ. სამტრედია. აქ არსებობს რკინის გზის მასალის დროებითი საწყობი, აქ ტვირთავენ ვაგონებს შეშით. ეს საქმე იჯარით აქვს ერთს მოიჯარადრეს, რომელსაც ყავს დაქირავებული 100-მდე ლეკური მუშა. ამ მუშებს ნაწილ-ნაწილ უხდებათ მუშაობა: ერთი ნაწილი აჯამეთის, მეორე ნაწილი სულა-ნაკანების და მესამე ქვალონ პალა-დიდის ტყეებში მუშაობენ. ამის გამო ისინი დღემდი ორგანიზაციულად ვერ შეკავშირებულან. თავისუფლების გამოცხადების შემდეგ, მათაც დაებადათ სხვადასხვა მოთხოვნილებების განხორციელების სურვილი, რისთვისაც ქვალონ პალადიდის ტყეში მომუშავენი შეიკრიბენ და დროის მიხედვით უნდოდათ თავიანთ პირობების გასაუმჯობესებლათ რამე დადგენილება გამოეტანათ. ამ უორგანიზაციო ყრილობით ისარგებლა ვ. ხრისტოვსკიმ (რწმენით ანარქისტია), პირდაპირ სიტყვებით მიმართა მათ. გაუწიონ [illegible] მუშაობაზე. მაგრამ ადგილობრივი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს პრეზიდიუმმა დროზე სათანადო ზომები მიიღო: მან გამოყო ხსენებული მუშები ანარქისტების პარტიიდან და დაუკავშირა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, სადაც მათ დღეს თავიანთი წარმომადგენელი ყავთ და ყოველდღე კითხვებს ორგანიზაციულად სჭრიან. დანარჩენი ამ დარგის მუშები რომ მიბაძავდნენ ამათ კარგს იზამენ.

ამირანი.

ახალი სამხედრო „პლატფორმა“. აქ მუშაობს ორასოცდაათი ახალი მუშა. იყო დრო, როდესაც აქაური მუშები ყოველივე კულტურულ მუშაობას გაურბოდენ და მათ გასართობ საგანს მარტო კარტ-ნარდი შეადგენდა, მაგრამ დღეს ამ ჩვეულებას ზურგი აქციეს და ჟურნალ-გაზეთების კითხვას და გავრცელებას მოკიდეს ხელი. ზოგიერთები უშლიან ხელს ამ მუშაობას და ჩვენი წარმომადგენლების წინააღმდეგ ილაშქრებენ. ასეთი გამოლაშქრება ვნებს საერთო საქმეს და ახარებს კონტრ-რევოლიუციონერებს.

ხალჩინი.

რევოლიუცია პროვინციაში

დუშეთი. 11 ივნისს მოხდა მორიგი სხდომა მუშათა საბჭოსი. გაირჩა შემდეგი კითხვები: 1. დურგლების, 2. გზის მუშების შესახებ. 3. ბაზალეთის მიტინგი, 4. კვირა უქმე დღეებში დუქნების დაკეტვა.

საბჭომ დაადგინა: დურგლები ხელოსნები დაიყონ ოთხ დაროგათ: პირველს დღიური ხელფასი 4 მ. 50 კ. მეორეს—3 მ. 50 კ. მესამეს—2 მ. 50 კ. და მეოთხეს 2 მან. გამოეცხადოს ყველა ხელოსანს და მცხოვრებთ, რომ ხელოსანთა პროფესიონალური კავშირის დაუკითხავათ არავითარ საქმეს ხელი არ მიჰკიდონ.

უნდა მოეწყოს გზის მუშების მიტინგები და გაეცნონ ისინი დღევანდელ მიმდინარე პოლიტიკურ მომენტს.

მაზრის კომისარმა ამხ. კლიმიაშვილმა გადასცა საბჭოს მაზრიდან მოსული 11 თიბათვეს მიტინგზე გამოტანილი რეზოლიუცია, სადაც ხევთა შიორის ბაზალეთის საზოგადოება დაადგენია: დაეპატიმროს ყოფილი ბაზალეთის ბოქაული ოსიევი, რომელიც ისევ გარეთ იმყოფება და მცხოვრებთ მარტო იმის სახელი თავზარს სცემს, დაიპატიმრონ აგრეთვე ყოფილი ბაზალეთის მამასახლისი გ. პაპიაშვილი. დაინიშნოს გამოძიება მომრიგებელ ზუ მოსამართლის შესახებ. როგორც განაცხადეს ნაქარებმა [illegible] ს. ქოიბერაშვილი [illegible], რომ თუ ვინიცობაა კვარაობით დუქნები დაკეტილი იყოს დღეს წყეთ რიგეთ. გამოძიება სწარმოებს.

კვირა უქმე დღეებში ყველა დუქნები და კანტორა უნდა იყოს გარდა ფურნის, ხორცის სახლის და რესტორან სასტუმროები.

პეტრე-დუშელი.

ხვანჭკარის-საზოგადოება. (რაჭა) ზემოთ, 24 ივნისს სოფლის სამმართველოს გზაში შესდგა ხვანჭკარის საზოგადოების მცხოვრებთა საერთო კრება. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა—აკაკი გოცირიძე, მდივნად—გალაქტიონ [illegible]. კრებაზე საკმაო ხალხი დაესწრო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დილისთვის იყვნენ მოწვეულნი, საღამოსთვის ძლივს მოიყარეს თავი. კრების მოწვევის მთავარი მიზანი შეადგენდა სასურსათო კომიტეტისათვის ერთი წევრისა და მისი კანდიდატების არჩევა. კრებამ აირჩია კომიტეტის წევრათ—მიხეილ დიხუტაშვილი, მის კანდიდატათ—ფილიპე [illegible]. შემდეგ კრების თავმჯდომარე ეხება მიმდინარე მომენტს, აცნობს ხალხს არსებულ მდგომარეობას. იყო კიდევ სხვა კითხვებიც, მაგრამ რადგანაც ბნელა დაუგვიანდა, გაიყარნენ შინ.

მოუხვეწარი

მაიდოეთი. ([illegible]) 6 ივნისს 1917 წ. შესდგა ქართველ ცხენოსან ჯარისკაცთა და ოფიცერთა კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ერთხმათ ბეითალი ხიკო ახმეტელაშვილი და მდივნად მსახიობი ჯარისკაცი პ. ფრანგიშვილი. (კანდიდატი).

მომენტის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა თავმჯდომარე ახმეტელაშვილმა.

შემდეგ ილაპარაკეს სოფლიდან ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა: ფერშალმა [illegible] (რუსულად), ფრანგიშვილმა (კანდიდატი), კილაძემ, ოფიცერ ჩოლოყაშვილმა, შალვა [illegible], მიხეილ კილაძემ, ტყეშელაშვილმა და სხვებმა.

კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: მხარი დავუჭიროთ და ნდობა გამოუცხადოთ დრ. მთავრ. სანამ ის იქნება ხალხის ინტერესების დამცველი; მჭიდროდ დავუკავშირდეთ და კავშირი ვიქონიოთ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებთან, როგორც ერთად-ერთი რევოლიუციონურ ორგანოებთან; პროტესტს ვაცხადებთ ფრიდრიხ ადლერის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და სალამს ვუძღვნით როგორც ადლერს ისე ავსტრიის დემოკრატიას. კრებამ მადლობა გამოუცხადა პოლ. ქავთარაძეს, (რომელიც დროებით წასულია) და პოლ. ნაცვალოვს, სოლიდარობისათვის.

თავმჯდომარე: ბეითალი ხიკო ახმეტელაშვილი.

კლუბების მოსამსახურეთა გაფიცვა.

ორი კვირაა, რაც კლუბების მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება. კლუბები დიდ ზარალს განიცდიან, მაგრამ რამდენიმე მამასახლისის ჯიუტობით არაფერი თუ დაკმაყოფილება, არამედ—საქმე რომ მომრიგებელ კამერაში გადაიტანეს ისინიც წინააღმდეგებიან, უმკლავდებიან გაფიცვას, ცდილობენ დაამარცხონ, ხალხს გაფიცულთა წინააღმდეგ ამხედრებენ, ყალბ ცნობებს აწვდიან და სხ. აღარ რა უნდა ითქვას დღევანდელ კლუბებზე კაცმა და მით უმეტეს, მის მეთაურებზე. ამ „საზოგადო“ კლუბებმა შეჰკრეს კავშირი, თავმჯდომარეთ კი ბ. შამოვი აირჩიეს—ის შამოვი, რომელსაც კარგად იცნობს მოწინავე საზოგადოება. ამის შემდეგ მაინც გაიძახიან „კლუბები საზოგადოებრივი და სიმპატიური დაწესებულებაა“, ზოგიერთები კლუბებს ინტერნაციონალ დემოკრატიულ კლუბებსაც კი უწოდებენ. ვერ გამიგია, ნუ თუ წევრები და სტუმრები ამ გვარ საქციელისთვის არ მოსთხოვს პასუხს ბ. ბ. მამასახლისებს, ნუ თუ საზოგადოება არაფრად აგდებს ამდენ კლუბების ზარალს და რამოდენიმე წლობით მათთან მოსამსახურეების ქუჩაში გამოსვლას? მე მგონი საჭიროა სინიდისიერი [illegible].

მოვაგონებ მკითხველებს და მოქალაქეთ, თუ რაშია დავა. ნუთუ ამ უბრალო რაიმეს მეტი განხილვა უნდა გამოიწვიოს? ყოველი მოქალაქის მოვალეობაა, რომ თავისუფალ რუსეთში შეებრძოლოს პირობების დამცირებას. ხელის მოსამსახურენი, როგორც პროფესიის სხვა კომპანიების მიხედვით ყოფ-ქცევას უცვლიან და ცალ გზაზე აყენებს, მოსამსახურენი კი ამის მოსპობას ითხოვენ და კლუბების გამგენი კი მათ ქუჩაში ყრიან.

ასეთი გამოსვლის მიზეზი რომ დაიმალოს, სინამდვილე, რომ არ აღიდგეს მე ეს ვერ წარმომიდგენია. თავისებურ გაზეთებში არას სწორ ცნობებს, გამოაქვთ განაჩენები ჩაკეტილ თავიანთ კარებში, არ იწვევენ მოსამსახურეების წარმომადგენლებს საკითხის სწორათ დაყენებისა და გაშუქებისათვის; უარს ჰყოფენ ყოველივეზე იმას, რითაც სინამდვილე აღდგება, გაურბიან სულს, მომრიგებელ კამერებს, ერთად [illegible] პირობების მოწვევას და სხ. „რესპუბლიკის“ ფურცლებზე გვეკამათებიან—ამბობენ, რომ მოსამსახურენი ცხრა საათს არ მუშაობენო და თავიანთ წერილებზე ერთი საათი როგორც იქნება დავუმატებთო, ჩვენ ვამბობთ, რომ ეს სამწუხარო სიცრუეა. აბა გვესინჯეთ კლუბის [illegible] ბ. ლუმბაძის, რამდენ საკითხებს ყნახავთ შიგ, რომ ეს და ეს მოსამსახურე არ მოვიდა შველ საათზე და სხ.

თუ ეს კანონი არ იყო და არ არის, რატომ ჯარიმდებოდა ის მოსამსახურე, რომელიც შველ საათზე არ მოვიდოდა, ან და რატომ იყო, რომ მოსამსახურე ითხოვდა სამსახურიდან დაბრუნებულიყო? მიდიან წინააღმდეგ, რომ მოსამსახურე 100—110 მ. პროც. შემოსავალზე მეტს იღებსო, მე გამოვკვეთავ მათივე ანგარიშებით, რომ ეს მტკნარი სიყალბეა მე მოქალაქეთა წინაშე ვაცხადებ, რომ არამცთუ არ გადაიხდიდება აღნიშნულ ცხრილის. მას მიიღებს ხარფუხის კლუბის შველი დღის პროც. 75 მ. და კაპეიკები. ბ. ბ. ვერ წარმოგვიდგენია შეგ რიცხვით რას ნიშნავს. იდევე ხარფუხის კლუბის ანგარიშიდან 1916 წ. ბ. ლუმბაძის ხელმოწერილიც კი არის ზედ. ხადაც ციფრები გვიჩვენებს: შემოსულა სულ 1916 წ. დახლოვებით 15800 მ. იყოფოდა 20 კაცზე, ხან მეტი და ხან ნაკლები წლიურათ, ეს უდრის 65 მ. 85 კ. თვიურათ.

ფეკიოხები ხედ არის აქ 800—1000 მ. და აბ შეიძლება თუ არა დღეს ცხოვრება ამ ფულით. კლუბების დემოკრატიზაციაზე ლაპარაკობენ. ბილეთი ეგრეთ წოდებული მუშის მომხრენი რკინის გზიდან ბ.ბ. კანტორიძეები, ჯორჯაძეები და სხ. ბ. ლუმბაძეს აგერეს უმაგრებენ და მოსამსახურეების წერილ მოთხოვნილებებს წინ ელობებიან, მათ სამსახურს ისრულებენ. დეე მოქალაქეებმა ამ საქმის დეტალებს ანგარიში გაუწიონ და ის პირები, რომელიც გამოურკვეველად უშლიან ხელს გაფიცულ ამხანაგებს გამოარკვიონ და სიმართლეს ნუ გადაუმალავენ. ამას ველით ყველა დღეს ნაცვლად მომენტი და გაუმჯობესება.

წურბელი.

პროვინციის ცხოვრება.

ს. ჩანჩეთი (გურია). აქ ადგილობრივ სკოლის შენობაში 28 ივნისს შესდგა სასკოლო კომიტეტის კრება ეგ. ნინოშვილის სახელობაზე დაარსებულ სკოლისა.

სურვილი გამოითქვა ს. ჩანჩეთში გაიხსნას სამეურნეო სასწავლებელი ამა წლის პირველ სექტემბრიდან. კრებამ მიიღო რა მხედველობაში, რომ ხსენებულ სკოლას აარსებს ეგ. ნინოშვილის სახელის პატივისმცემელი საზოგადოება, დაადგინა: კითხვა გადაეცეს გურიის კომიტეტს განსახილველათ. ფონდის გაძლიერების შესახებ კრებამ საჭიროთ დაინახა, იქნას გამოცემული შესაფერი მოწოდებები, გაგზავნილ იქნას ქალაქებში, დაბებში, სოფლებში ნდობით აღჭურვილი პირები კომიტეტის პასუხისმგებლობის ქვეშ. ადმინისტრაციულ კომისიაში არჩეულ იქმნა შემდეგი პირები: ვ. გუჯაბიძე, გ. გძელიძე, მ. პოლშინი, ვ. თავართქილაძე, ა. მოისრაფიშვილი, ქ. გურგენიძე, ს. ტულუში. სარევიზიო კომისიაში: ა. ვასაძე, ს. სალუქვაძე, ე. მოისრაფიშვილი.

ხორეთელი.

ს. ნოდა-ნაგვაზოუ (სამეგრელო). აქ არსებობს მომხმარებელთა საზოგადოება. გახსნეს დუქანი. საქმე კარგათ მიდიოდა, მაგრამ ბ ნი სურმავა ერთი თვის შემდეგ ჯარში გაიწვიეს და ისიც არხეინათ გაუდგა გზას, არავისთვის არც დუქანი ჩაუბარებია და არც ანგარიში. ხალხმა მოითხოვა მისი ხუთი დღით დაბრუნება. მისცეს ნება, მაგრამ იქ დაბრუნების მაგიერ ის სხვა გზისაკენ გაუდგა. ამან ეჭვი დაბადა მის კეთილსინდისიერებაზე, იანგარიშეს დუქანი და 700 მ. აღმოჩნდა გაფლანგული. აირჩიეს იმათ ნოქარი, ჩააბარეს დუქანი, ეგონათ ეხლა მაინც კარგათ წაიყვანდენ საქმეს, მაგრამ გაუკუღმდათ იმედი: ამ ორმა ნოქარმაც ამბროსი კვანტალიანმა და კოსტა სურმავამ 500 მანეთი უქნეს ყლაპი. ამან ხალხი ძლიერ ააღელვა. გადასწყვიტეს ნოქრების გამოცვლა და დუქნის სხვა ადგილზე გადატანა, მაგრამ გადაწყვეტილება გადაწყვეტილებათ დარჩა, ჯერ არც ახალი ნოქრები დაუქირავებიათ და არც დუქანი გადაუტანიათ. ნეტა რას ელოდებიან?

ქ. ნაგვაზოველი.

ორზინჯანის რაიონი. ორზინჯანის რაიონი კარგი ხეხილიანი ადგილია და ამ ხეხილით სარგებლობა განიზრახეს ჯარისკაცებმა. დაიწყეს არაყის ხდა. არაყს ხდიან ქერიდანაც. მე 156 ელიზავეტპოლის პოლკის [illegible] რიგის უფროსმა ნება დართო თავის როტის ჯარისკაცებს ხადონ არაყი. ასეთ მუშაობას განაგრძობს სხვა ნაწილის ჯარისკაცებიც. ეს მოწინავე პოზიციების ახლოს ხდება. როტის დეპუტატებიც კარგათ შეეჩვივნენ არაყის სმას. საჭიროა ყურადღება მიაქციონ პოლკის დეპუტატებმა ამ სამარცხვინო საქმეს. ჯ.-ქ. ბარცხანელი.

გაზეთის სასარგებლოთ.

მუშებმა (ქ. ბათუმი, მანთაშევის ქარხანა) შეაგროვეს და გიგზავნით მუშათა ინტერესების დამცველ გაზეთის „ერთობის“ სასარგებლოთ 21 მან. 50 კ.

ამხ. მინდობილობით ბესარიონ მექმარიაშვილი.

გიგზავნით ბორჯომის მეჟავე წყლის ბოთლების ჩამომსხმელ განყოფილების მუშებში შეგროვილ 60 მ. პარტიულ სტამბის ფონდისთვის.

ამხანაგების მინდობილობით: ვლადიმერ ქვათარაძე, დათიკო ხუციშვილი, გიორგი გელაშვილი, თედო ლომიძე.

ყარსში მყოფი საექსპლოატაციო ბატალიონის ჯარისკაცებმა შეაგროვეს და გიგზავნით პარტიულ სტამბის ფონდის გასაძლიერებლად 20 მანეთს.

ამხ. მინდობილობით დ. ვაშაკიძე.

მიხეილ ისაკის ძე კუპუჯანაშვილმა თავის დედ-მამის პატივსაცემლად 6 თვით გაზეთი „ერთობა“ გამოუწერა სოფ. ქვემო ხოდაშენს.

წერილები რედაქციის მიმართ

ამით ვაუწყებ მშობლებს და ჭირისუფლებს, რომ ექვსი დღის წინეთ ავადმყოფობის შემდეგ, 24 ივნისს გარდაიცვალა შარიფხანეში (სპარსეთში) ქალაქთა კავშირის № 1 ლაზარეთში მე 55 კავკასიის „ხაჭაპანი ბატალიონის“ მესამე როტის ჯარისკაცი, დაბა ზესტაფონის მცხოვრები, აკაკი სიკოს ძე ცაბაძე. ნივთები მისი რაც იყო ზოგიერთი კაპიტანის მეთაურობით გავყიდეთ სულ 80 მანეთად და ეს ფული ფოსტით გავუგზავნეთ მშობლებს. როდესაც როტიდან ლაზარეთში წავიდა, მას თან ჰქონდა 25 მან. ეს ფული მოვიკითხეთ ზემოაღნიშნულ ლაზარეთში, მაგრამ გვითხრეს, რომ ფული მას აქ არ ჰქონდაო. ჩვენ კი, მისმა ამხანაგებმა, დარწმუნებით ვიცით, რომ მას ჰქონდა ფული, როდესაც ლაზარეთში წავიდა. სირცხვილია იმ ლაზარეთის მოსამსახურეებს, რომლებიც სიკვდილის შემდეგ, სალდათის ჯიბიდან ფულს აცლიან, რაც კი აბადია და ამასთანა საქციელს სჩადიან. ამას თან დავუმატებ, რომ მიცვალებულის ჯვარზედაც არ დაუწერათ მისი სახელი და გვარი და ჩვენ იძულებული შევიქენით მთელი დღის განმავლობაში გვეძებნა მისი საფლავი. აი, ასე ეზარებათ აქაურ მოსამსახურეებს კეთილ საქმის კეთება. ამას, ვფიქრობთ, ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ლაზარეთის გამგემ.

ანტონი კაკუბერია.

ვინაც ფერშალ კალდობსკის მოუთავსებია წერილი თქვენს პატივცემულ გაზეთში, ვითომ განსვენებულ ფერშ. ნიკო ტოროტაძეს მიებარებინოს კიმოთე წულაძისათვის 70 მან. და ეს მე მცოდნოდეს. პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ ვაცხადებ შემდეგს: ბ. ფერშ. ივანე კალდობსკი, ჩვენ პოლკში არ ყოფილა და არც არის, ფერშალ კალდობსკის კი ვინაც „პროვოკატორი“ ამოეფარა და მისი სახელით ჩირქს მცხებს, როგორც მე ისე კ. წულაძეს, შეიძლება იმას ვინც კალდობსკის ამოეფარა იმაში ეპარება ეჭვი, რომ კიმოთე წულაძემ ოსმალეთის ფრონტიდან გაგზავნა სახლში 70 მან. თავისი ფული და არა ნ. ტოროტაძის, რაც შეეხება ფერ. ნ. ტოროტაძეს—განსვენებულს უკანასკნელ ხანებში ფული არ ქონია. სანამ მოკლავდენ ფული მთხოვა მე. მე რომ არ მქონდა სანიტარ თავაძეს გამოართვა. კ. წულაძისთვის ფული რატომ უნდა მიებარებინა ფერშალს, როცა „პერევიაზოჩნი პუნკტი“ და თვით ფერშალი 4—5 ვერსით დაშორებულნი იყვნენ ერთმანეთს. ბ. კ. წულაძე პირველ ხაზზე იყო ბრძოლაში, მოკლული იქმნა, როცა ოსმალებმა სროლა დაუწყეს უკან დახეულ ჯარს.

მატვ. ხერ. (რაიდენ) გიგილოს ძე შენაიშვილი.

მადლობას უცხადებთ ბ. სპირიდონ გრიგოლის ძე ჩიქოვანს, რომელმაც ჩვენს სამკითხველოს შემოსწირა 25 მანეთი.

მეორე ონტოფოს სამკითხველოს გამგეობა.

ს. ჯუნჯუათის სამკითხველოს შემომწირველთ მადლობას უცხადებს სამკითხველოს გამგეობა. სამკ. გამ. პ. ბარამიძე.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯარისკაცი პროკოფი შათირიშვილი (სურებიდან) მსახურობდა მე-17 კავკასიის მსროლელთა პოლკში, მე-9 როტაში. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ, დაგვაწერეთ და გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: დ. ჩოხატაური, ჯაბულო მეგრელიშვილს.

— ჯარისკაცი ვარლამ ბესარიონის ძე გვილესიანი მსახურობდა კავკასიის მოქმედ ჯარში მე 3 მსროლელთა ჯუბინის დრუჟინაში 1 როტაში. ვთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს. ჯარის-კაცი თედორე მაკარის ძე გაჩეჩილაძე მსახურობდა კავკასიის მოქმედ ჯარში აზრუმის მე-2 კავკასიის სავზო რაზმში კანტორაში „კლადოვშჩიკათ“. ვინც ვინმემ რამე იცით ამათ შესახებ აცნობეთ შემდეგი ადრესით: თფილისი, რკინის გზის დეპო. მემანქანის თანაშემწეს ანტონ დიმიტრის ძე გვილესიანს.

— ჯარისკაცი ლუკა ონისიმეს ძე კუბეცულია მსახურობდა კავკასიის ფრონტზე მოქმედ ჯარში, ვთხოვთ ვინც რამე იცის მის შესახებ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: Кавк. Армія 5 арт. корпусъ 253 военная хлѣбопекарня. Константину Кунчулія.

ერთობა

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში

წლით 20 მ., ნახევარი წლით 11 მ., სამი თვით 6 მ. ერთი თვით 2 მ.

გაზეთის ფასი ხელის მოწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადოთ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.

ტფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა, № 6.

[illegible] ოლღას ქ. № 6, ს.-გაზეთების კანტორა და წიგნის მაღაზია

„განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გაეგზავნება მსურველებს ფულის გამოგზავნისთანავე.

[illegible] გაზეთების გავრცელებას აგრეთვე ყოველთვიური ჟურნალ-გაზეთებისა „ერთობა“, „მნათი“, „კავკ. რაბოჩი“, „[illegible]“, „[illegible]“, „[illegible]“, „მაიჭარი“, და ყველა ახლად გამოსული წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაბაევის შესახვევი № 1.